ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ორშაბათს და ხუთშაბათს №116 (1626) 18-21 დეკემბერი, 1997 წელი ფასი 50 თეთრი

## „ჟვანიამ, ბარამიძემ, სააკაშვილმა, ადამიამ, ჩიტაიამ და მთელმა ყოფილმა „მწვანეებმა" მთელი ცხოვრება რომ იპარონ, იმდენს მაინც ვერ მოიპარავენ, რამდენსაც ზოგიერთი ვიცე-პრემიერი ერთ დღეში იპარავდა"

მესამე გვერდი



## თემურ მურღულია: შეფარვით სურდათ ჩვენი გაცურება, მაგრამ...

**ქალაქ** მოსკოვში დსთ-ის ქვეყნების ძალოვან სტრუქტურათა ოფიციალური დელეგაციების საკოორდინაციო საბჭოს სხდომა ჩატარდა, რომელზეც ესწრებოდნენ დსთ-ის ქვეყნების გენერალური პროკურორები, შს მინისტრები, უშიშროების და სპეც. სამსახურების, სასაზღვრო დაცვის ჯარების საბჭოს ხელმძღვანელები, საბაჟო სამსახური და საგადასახადო პოლიციის საბჭოების წარმომადგენლები.

სხდომაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმოადგენდა მინისტრის მოადგილე თემურ მურღულია. სწორედ იქ განხილული საკითხების თაობაზე ვთხოვეთ ინტერვიუ ბატონ თემურს

მეათე გვერდი

## რეპორტაჟი მხედრიონის სასამართლო დარბაზიდან

მეორე გვერდი

## სტალინის ჰოროსკოპი



მეცხრე გვერდი

## მოსკოვში პიკეტი მოაწყეს საქართველოს საელჩოსთან

მეორე დღეა მოსკოვში გრძელდება საქართველოს საელჩოს პიკეტირება. მოპიკეტეთა მთავარი მოთხოვნაა – არ დაუშვან თბილისის „პროვოკაციული ქმედებები" რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, რასაც ადგილი ჰქონდა მას შემდეგ, რაც რუსეთში არალეგალური სპირტის შეტანის აღკვეთის მიზნით, წინ გადაწიეს რუსეთის მესაზღვრეთა საკონტროლო გამშვები პუნქტი.

მაშინ თბილისიდან საზღვარზე ავტობუსებით მიიყვანეს ახალგაზრდები, რომლებიც რამდენიმე დღის განმავლობაში ახდენდნენ რუსეთის მესაზღვრეთა პროვოცირებას და შეურაცხყოფას აყენებდნენ მათ.

„პროტესტს ვუცხადებთ ანტირუსულ აქციებში ახალგაზრდების ჩათრევისა და დაძაბულობის კერების შექმნის მცდელობას, აგრეთვე, სურვილს, განხეთქილება შეიტანონ ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში", – უთხრა დღეს იტარ-ტასს ამ ღონისძიების ერთ-ერთმა ინიციატორმა გრიგორი უდალცოვმა.

აქციაში მონაწილე რეგიონთაშორისი ახალგაზრდული ორგანიზაცია „მოყმეთა ასოციაციის" წარმომადგენელმა იტარ-ტასს განუცხადა, რომ „საქართველო დაძაბულობას აღვივებს საზღვარზე და ცდილობს რუსეთის ტერიტორიაზე სპირტიანი საწამლავის შეტანას".

რუსეთში საქართველოს საელჩოს პიკეტირება 18 დეკემბერსაც გაგრძელდება. (პრაიმ-ნიუსი)

## აფხაზეთის ტერიტორიაზე მატარებელი ააფეთქეს

სამი ადამიანი დაიჭრა გუშინ აფხაზეთის ტერიტორიაზე ოჩამჩირე-ფსოუს მატარებლის ბოლო ვაგონში მომხდარი აფეთქების შედეგად, – აცნობა პრაიმ-ნიუსს კავკასიის საგანგებო სასაზღვრო ოლქის პრესსამსახურიდან ოფიცერმა სერგეი ლივანცევმა.

ინციდენტი დაახლოებით 15.30 საათზე მოხდა, 700 მეტრში მდინარე ფსოუზე არსებულ ხიდზე განლაგებული კავკასიის სასაზღვრო ოლქის საკონტროლო გამშვები პუნქტიდან.

ლივანცევის თქმით, ჯერ დაუდგენელია აფეთქების მიზეზი და სიმძლავრე.

აფხაზეთის დევნილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა პრაიმ-ნიუსთან საუბარში არ გამორიცხა, რომ მატარებელი პარტიზანული მოძრაობა „თეთრი ლეგიონის" წევრების მიერ არის აფეთქებული.

მისი თქმით, პარტიზანული მოძრაობა დღითი-დღე გაიზრდება და გაძლიერდება.

პრაიმ-ნიუსის კითხვაზე, ხომ არ აისახება ეს ნეგატიურად ხვალისთვის გადატანილ საკოორდინაციო კომისიის სხდომის მუშაობაზე, ნადარეიშვილმა უპასუხა: „პარტიზანებს არ სჯერათ კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგების გზის".

შემთხვევის ადგილზე მისული აფხაზეთის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები გამოძიებას ატარებენ და არ გამორიცხავენ დივერსიის შესაძლებლობას ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენებით. (პრაიმ-ნიუსი)

## შევარდნაძე — ხელისუფლებაში მოსვლის ერთადერთი შანსი

საპარლამენტო ფრაქცია „მაჟორიტარის" წევრის, ვახტანგ რჩეულიშვილის განცხადებით, არჩევნების დროს მოსახლეობამ ხმა მისცა ედპ-ს და არა სახალხო პარტიას. ამ ფაქტის კომენტირებისას სახალხო პარტიის თავმჯდომარემ, მამუკა გიორგაძემ გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას აღნიშნა, რომ პარტიას, რომელიც არჩევნებში გავიდა ოფიციალურად მამუკა გიორგაძე, გიორგი კობახიძე, ვანო ხუხუნაიშვილი და გურამ ჩახვაძე ედგა სათავეში, საარჩევნო კამპანიას კი გიორგაძე ხელმძღვანელობდა.

მისივე თქმით, ხელმძღვანელი ჯგუფიდან „იქითა მხარეს" ერთადერთი ირინა სარიშვილი დარჩა. რაც შეეხება ვახტანგ რჩეულიშვილს, საპარლამენტო ფრაქციის ლიდერის თქმით, მას არ აწყობს ამის შესახებ საუბარი. „ადამიანთა ის წრე, რომლებიც შევარდნაძის ფავორიტობაში ეჯიბრება ერთმანეთს, ცდილობს იმ წრის წინააღმდეგ გამოვიდეს, რომელიც ამ მიმართულებით არ მუშაობს, აღარ ვსაუბრობ იმაზე, რომ ფავორიტების ჯგუფის შიგნითაც მიდის ბრძოლა. მათი მიზანია შევარდნაძის გარემოცვაში დამკვიდრება იმიტომ, რომ მათთვის ეს ხელისუფლებაში მოსვლის ერთადერთი მექანიზმია" - აღნიშნა მამუკა გიორგაძემ და დასძინა, რომ არა ედუარდ შევარდნაძე, ვერცერთი მათგანი ვერ ეღირსება ხელისუფლებაში მოსვლას.

მარიკა ხოფერია, „გეა"

## ეს ზეიმი ფულსაც მოგვიტანს და სულის პურსაც...

საქართველოში ებრაელთა ცხოვრების 26 საუკუნის იუბილის აღსანიშნავი ღონისძიებების პროგრამა განიხილეს 16 დეკემბერს სახელმწიფო კანცელარიაში ამასთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის სხდომაზე.

პროგრამის წარმომადგენელმა, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა, სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ზაზა შენგელიამ აღნიშნა, რომ საზეიმო ღონისძიებები თბილისში 1998 წლის 7-11 სექტემბერს ჩატარდება. აგრეთვე, ეს თარიღი აღინიშნება ისრაელში, აშშ-სა და რუსეთში.

დაგეგმილ ღონისძიებებს შორისაა საიუბილეო დღეების გახსნა სახელმწიფო ფილარმონიაში, წიგნების, ხელნაწერებისა და საკულტო ნაგებობების ფოტოსურათების გამოფენა, ებრაული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისა და „იერუსალიმის სახლის" გახსნა. დაგეგმილია სამეცნიერო სემინარებისა და სპორტული შეჯიბრებების გამართვა. საქართველოს ეწვევიან მსოფლიოში ცნობილი ისეთი პიროვნებები, როგორებიცაა ჯორჯ სოროსი, ბარბარა სტრეიზანდი, სტივენ სპილბერგი და სხვები.

პროგრამის ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ ამ მასშტაბურ პროგრამას სულ რაღაც 140 ათას ლარს აკმარებენ.

სხდომის შედეგების შეჯამებისას, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც იუბილის მოსამზადებელ კომისიას ხელმძღვანელობს, აღნიშნა, რომ იუბილის აღნიშვნის საკითხი სცილდება ორ ქვეყანას შორის განვითარებადი ურთიერთობების „პრაგმატული ინტერესის" ჩარჩოებს.

„იმედი გვაქვს, რომ ადრე თუ გვიან ჩვენი თანამემამულენი დაუბრუნდებიან საქართველოში დროებით მიტოვებულ სახლებს", - თქვა მან.

ორმაგ მოქალაქეობაზე საუბრისას, შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ეს საკითხი სადაო იყო საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებისას. „პირადად მე იმის მომხრე ვარ, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გადაწყვეტილებას პრეზიდენტი იღებდეს, - თქვა მან, - მაინც იქნება აუცილებელი გარკვეული კორექტივების შეტანა, რაც შესაძლოა მომავალი არჩევნების წინ გაკეთდეს".

შევარდნაძის თქმით, იანვრის დასაწყისისთვის დაგეგმილია მისი სამუშაო ვიზიტი ისრაელში, სადაც შეხვდება ამ ქვეყნის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს. ორი ქვეყნის პრეზიდენტები ხელს მოაწერენ დეკლარაციას თანამშრომლობის შესახებ. (პრაიმ-ნიუსი)

# რეპორტაჟი მხედრიონის სასამართლო დარბაზიდან

**გუშინ უზენაეს სასამართლოში განახლდა ყოფილი „მხედრიონის" ლიდერის, ჯაბა იოსელიანისა და სხვა 14 ბრალდებულის საქმის მოსმენა.**

სანამ სასამართლო მუშაობას შეუდგებოდა, მოსამართლე ჯემალ ლეონიძემ დარბაზს გააცნო სასამართლოს დადგენილება იმის თაობაზე, რომ პატიმართა მოთხოვნა სახელმწიფო ბრალმდებლის, გიგა აგულაშვილის აცილებაზე სასამართლოს კოლეგიამ არ დააკმაყოფილა. შემდეგ მოსამართლემ დაზარალებულები მოიკითხა და როცა აცნობეს, რომ 54 დაზარალებულიდან არცერთი არ გამოცხადებულა, სასამართლოს დაწყებამდე ბრალდებულთა და მათი ადვოკატების აზრი იკითხა დაზარალებულთა გარეშე სასამართლოს დაწყების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულთა უმრავლესობა წინააღმდეგი იყო და მოითხოვდა დაზარალებულთა გამოცხადებას, მოსამართლე მაინც შეუდგა პროცესს. შემდეგ მოსამართლე კვლავ ბრალდებულებს მიუბრუნდა და სთხოვა მათ მოწმეთა სიაში დამატებით იმ პირების შეტანა, ვისაც ისინი საჭიროდ თვლიან, რათა სასამართლოს მსვლელობისას დაიკითხონ საქმეში გასარკვევად. ბრალდებულთა მიერ დასახელებული იყო ყოფილი უშიშროების მინისტრი, შოთა კვირაია, გენერალური პროკურორი, ჯამლეთ ბაბილაშვილი, ამჟამინდელი დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ავთანდილ იოსელიანი, თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსი, სოსო ალავიძე. ადვოკატმა თემურ გოგსაძემ კატეგორიულად მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის სასამართლო პროცესზე გამოცხადება, ვინაიდან, მისი თქმით, ყველა დარბაზში მყოფ ბრალდებულს ერთი ბრალდება - 29 აგვისტოს ტერაქტი აერთიანებს და მისი მთავარი დაზარალებული საქართველოს პრეზიდენტია. „მე არ ვაყენებ საკითხს, რომ ამ ეტაპზე გამოცხადდეს პრეზიდენტი, მე უბრალოდ ვითხოვ, რომ საქართველოს პრეზიდენტი შეყვანილ იქნას დაზარალებულთა სიაში, და გამოცხადდება თუ არა იგი, ამით გამოჩნდება რამდენად პატივს სცემს პრეზიდენტი კანონის უზენაესობას" - განაცხადა თემურ გოგსაძემ.

თითქმის ყველა ბრალდებულმა გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ მათ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად გამოსძალეს ჩვენებები და მოწმეებად იზოლატორებისა და პროკურატურის თანამშრომლების გამოძახებაც მოითხოვეს. ბრალდებულთა შემდეგ გამოსულმა პროკურორმა აგულაშვილმა გააკეთა დასკვნა, რომ განსასჯელები მზად არ იყვნენ მოწმეთა შუამდგომლობისათვის, რასაც ბრალდებულების, ქურდიანისა და გიგა გელაშვილის ყვირილი მოჰყვა, რომ პროკურორი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა ბრალდებულებმა იჩხუბონ და პროცესი ჩაშალონ. მოსამართლე ლეონიძემ დარბაზის დაშოშმინების შემდეგ გამოაცხადა სასამართლო კოლეგიის დადგენილება, რომ ბრალდებულთა სიაში შეტანილი იქნებიან მათ მიერ დასახელებული იზოლატორისა და პროკურატურის თანამშრომლები, ხოლო დასახელებული თანამდებობის პირებიდან აღნიშნულ სიაში მხოლოდ სოსო ალავიძე შევიდა.

თამარ ხონელიძე „გეა"

# გრიშა ბიძიები დეპოდან უკრაინის საელჩოში

*მიუხედავად საკმაოდ ცივი ამინდისა, 50 კაცზე მეტი შეიკრიბა გუშინ თბილისში, უკრაინის საელჩოსთან უკრაინელ მშრომელთა მხარდასაჭერად, რომლებიც აქციას მართავდნენ უკრაინაში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნით.*

აქცია საქართველოს მშრომელთა საბჭოს მიერ იყო ორგანიზებული. მშრომელები ტრანსპარანტებით აღჭურვილნი მივიდნენ აქციაზე: „რუსთავის მშრომელები მიესალმებიან უკრაინელ მშრომელებს", „დიდება სსრკ-ს", „საქართველოს კომკავშირი მხარს უჭერს უკრაინის მშრომელებს". უკრაინის საელჩოს საკმაოდ შეშფოთებული დაცვა რაციის საშუალებით საკუთარ კოლეგებს დაუკავშირდა და დახმარება სთხოვა. სიტყვით გამოსულმა საქართველოს მშრომელთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ, ბადრი სისვაძემ აღნიშნა, რომ მათ გამზადებული აქვთ წერილი უკრაინის მშრომელთა სახელზე, რომელშიც სოლიდარობას უცხადებენ მათ და მხარდაჭერას პირდებიან საქართველოს მშრომელთა სახელით.

აქციის მონაწილეთა მცირე რაოდენობა თავმჯდომარემ იმით ახსნა, რომ მიტინგს საქართველოს მშრომელთა მხოლოდ წარმომადგენლები ესწრებოდნენ „და არა მთელი მშრომელები" და, ამასთან ერთად, „ცოტა ამინდმაც არ შეუწყო ხელი აქციას".

ბადრი სისვაძის მოადგილემ, გივი თევზაძემ მხურვალე სიტყვით (რუსულად) მიმართა შეკრებილებს: „ამხანაგებო! დღეს ჩვენი მოძმე ერი, უკრაინელი ხალხი საპროტესტო აქციას ატარებს დანაშაულებრივი, ანტისახალხო რეჟიმის წინააღმდეგ. ისინი პროტესტს გამოთქვამენ იმ დამყაყებული რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც „პერესტროიკის" შედეგად დამყარდა. უდიდესი დანაშაულია ერის წინაშე, რომ დაშალეს საბჭოთა კავშირი. ეს უდიდესი დანაშაულია მთელი საბჭოთა ხალხის, მსოფლიოს ყველა მშრომელის წინაშე, მუშათა კლასის წინაშე. მაგრამ ეს ბურჟუაზიისა და კაპიტალისტების დროებითი გამარჯვებაა. გავა ცოტა ხანი და ისტორიის ბორბალი ისევ შემობრუნდება მშრომელთა კლასისკენ".

ბადრი სისვაძეს და, როგორც ჩანს, აქციის მონაწილეებსაც იმედი აქვთ, რომ ხალხი გამოიღვიძებს და სწორი გზით წავა. „ჩვენი საქმე სამართლიანია, ჩვენ გავიმარჯვებთ" - დაასრულა „დიდი სტალინის" სიტყვებით გამომსვლელმა.

მომიტინგეებთან შესახვედრად გამოსულმა უკრაინის საელჩოს კონსულმა, ვასილ მელნიკმა უკრაინის მშრომელთათვის გამზადებული წერილი ჩაიბარა, რომელშიც ნათქვამია, რომ უკრაინისა და საქართველოს მშრომელებს საერთო მტერი ჰყავთ და მხოლოდ ერთიანი ძალებით შეიძლება მისი დამარცხება. „ჩვენი მიზანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების განახლებული კავშირის აღდგენაა, გაუმარჯოს სსრკ-ის შექმნის 75 წლისთავს" - აღნიშნულია წერილში.

ვიკა ქავჟარაძე, „გეა"

რუსი

## სამართალდამცველები სასამართლოთი არიან დაინტერესებულნი

20 დეკემბრისთვის შესაძლებელია მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდეს სამართალდამცავ ცენტრ „მემორიალის" წარმომადგენელი, ცნობილი სამართალდამცველის, სერგეი კოვალიოვის თანაშემწე, ალექსანდრ სოკოლოვი.

ალექსანდრ სოკოლოვის ჩამოსვლის მიზეზი თბილისში დაწყებული სასამართლო პროცესია, რომელზეც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში დადანაშაულებული 15 ბრალდებულის საქმე იხილება.

როგორც გეა-ს კორესპონდენტს სამართალდამცველმა, გიორგი ხოშტარიამ აცნობა, ვინაიდან ჯაბა იოსელიანისა და სხვა 14 ბრალდებულის პროცესი საკმაო ხანს გაგრძელდება, სოკოლოვს ვალენტინ გეფტერი შეენაცვლება. ხოლო თუ ჯანმრთელობა საშუალებას მისცემს, პროცესს შეიძლება თავად სერგეი კოვალიოვიც დაესწროს. (გეა)

## ჩუმად, არ გააღვიძოთ

„გააქტიურდა არა ასლან აბაშიძე, არამედ რუსეთი ანუ ქვეყანა, რომელმაც თავის დროზე, აჭარა საქართველოს შემოუმტკიცა" - განაცხადა საზოგადოება „სტალინელის" თავმჯდომარემ, გრიგოლ ონიანმა უკანასკნელ პერიოდში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენების შეფასებისას. მისივე თქმით, საქართველო ჩაძინებული დათვის გაღიზიანებით გამოწვეულ შედეგებს მოგვიანებით მიიღებს, რადგან რუსეთი ჯერ კიდევ დეპრესიაშია. (გეა)

## მიგრაციის პროცესები დარეგულირდება

„მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია" 1951 წელს ბელგიაში დაარსდა. მისი შტაბ-ბინა შვეიცარიაში, ჟენევაში მდებარეობს. ორგანიზაციის წევრია მსოფლიოს 46 ქვეყანა. 35 ქვეყანა კი ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობს; მათ შორისაა საქართველოც. ჩვენს ქვეყანაში ეს ორგანიზაცია 1993 წლიდან არსებობს.

„მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის" რეგიონალური წარმომადგენლის თანაშემწემ, ირინა ლორიამ გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა, რომ ორგანიზაციის პროგრამით 1994-96 წლებში საქართველოში ჰუმანიტარული დახმარების საკოორდინაციო ბიურო შეიქმნა. 1994 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება „შესაძლებლობათა განვითარების პროგრამა", რომელიც ეხმარება საქართველოს მთავრობას, რათა მან ქვეყანაში მიმდინარე მიგრაციული პროცესების მართვა შეძლოს. ამ მიზნით ორგანიზაცია თანამშრომლობს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიგრაციის კონტროლის დეპარტამენტთან. ტექნიკური სპეციალისტების მიერ ხდება საზღვრის დაცვის საინფორმაციო ბანკის შექმნა. მომავალი წლიდან განსაზღვრულია ასეთი სისტემა სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში ამოქმედდეს. ამ მიზნით, თავდაპირველად, თბილისის აეროპორტში კომპიუტერებით აღჭურვილი 8 ჯიხური იმუშავებს.

გარდა ამისა, ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამა მიზნად ისახავს უსახსრო მიგრანტების თავიანთ ქვეყნებში დაბრუნებას. ლორიას თქმით, აღნიშნული პროგრამით აგვისტოს თვის შემდეგ ოცმა პირმა შეძლო სამშობლოში დაბრუნება. ძირითადად ისინი პაკისტანის და პალესტინის მოქალაქეები იყვნენ. (გეა)

# რომან გოცირიძე:

# „ჟვანიამ, ბარამიძემ, სააკაშვილმა, ადამიამ, ჩიტაიამ და მთელმა ყოფილმა „მწვანეებმა“ მთელი ცხოვრება რომ იპარონ, იმდენს მაინც ვერ მოიპარავენ, რამდენსაც ზოგიერთი ვიცე-პრემიერი ერთ დღეში იპარავდა“



*– ბატონო რომან, ბოლო პერიოდში მომხდარი რამდენიმე ინციდენტის ფონზე („ხარაზი-ჟვანიას საქმე“, სპირტის და მანდარინის ომი, ლარსის ინციდენტი და სხვა) საქართველოში პოლიტიკური კლიმატი თანდათანობით იძაბება. ასეთ ვითარებას კარგად იყენებენ ის ძალები, რომლებიც ოცნებობენ დაიბრუნონ თავიანთი „ადგილი მზის ქვეშ“, ანუ კვლავ გახდნენ შევარდნაძის ამალის წამყვანი წევრები. რა კომენტარს გაუკეთებდით ხელისუფლების შიგნით (თუ მის გარეთ) ხელისუფლებისათვის ბრძოლის ამჟამინდელ გამოვლინებას. ხომ არ აზიანებს გავლენის სფეროების გადანაწილების პროცესი ქვეყნის ინტერესებს?*

– საერთოდ, ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში დამკვიდრებულია ასეთი მიდგომა: თუკი ხარ ოპოზიციაში, თვალი უნდა დახუჭო იმაზე, თუ რაიმე კარგს აკეთებს სახელისუფლებო უმრავლესობა და პირიქით, თუკი ხელისუფლებაში ხარ, არ უნდა შეამჩნიო (არც უნდა გაიზიარო) ის დადებითი, რასაც ოპოზიცია აკეთებს ან გთავაზობს. მოქმედებს პრინციპი – რაც უფრო მეტი უსიამოვნება მიადგება პოლიტიკურ კონკურენტს, მით უკეთესია ჩემთვის. ამიტომ ძალზე იშვიათია განსხვავებული პოზიციების მქონე პოლიტიკური ძალების მიერ მოვლენათა არატენდენციური შეფასება. შესაძლოა, ასეთი მიდგომა ზოგადად დამახასიათებელიც იყოს პოლიტიკური პროცესებისთვის ყველგან, მაგრამ სხვა საკითხია, რა ზომით და რა ვითარებაში. როდესაც საქმე ეხება ქვეყნის ინტერესებს, ვიწრო პარტიულმა თუ პიროვნულ სიმპათია-ანტიპათიაზე დამყარებულმა ფაქტორებმა მეორე პლანზე უნდა გადაიწიოს. სამწუხაროდ, ჩვენთან ასე არ ხდებოდა და არც ხდება.

რაც შეეხება უშუალოდ თქვენს კითხვას! ამჟამად მართლაც მიმდინარეობს მრავალმხრივი დარტყმები ხელისუფლების იმ ფრთის მიმართ, რომელსაც აქვს დასავლური და არა პრორუსული ორიენტაცია. ეს დარტყმები მოდის როგორც რუსეთიდან, ასევე ქვეყნის შიგნიდანაც. გავიხსენოთ აჭარის ხელისუფლების მიერ მოწყობილი სკანდალი, მემარცხენე ყაიდის საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო პარტიების გააქტიურება, სხვადასხვა გავლენიანი ჯგუფებისა და ცალკეული პიროვნებების გეგმაზომიერი მცდელობა ხელისუფლების ერთი ნაწილის წარმომადგენელთა კომპრომეტირებისა და ა.შ.

ამ პროცესებს ემოციური მუხტი რომ შემატონ და ხალხისათვის გასაგებ ენაზე რომ გადაიყვანონ ქმედებები, მიმართავენ ჩვეულ მეთოდს: საქმე დაჰყავთ პიროვნებათა დონეზე. იწყება პრობლემის პერსონიფიცირება და შემდეგ მათ ირგვლივ არაჯანსაღი აჟიოტაჟის ატეხა. ამჟამად „პროგრამაში“ „ჟვანია და მისი გუნდი“ ჰყავთ ამოღებული.

*– გამოდის, რომ „ხარაზის ალზარება“ იქნება ეს თუ ბარამიძის ანტიკორუფციული კომისიის ზოგიერთების მიერ თავგისვერდამჭერ მზხავანა კატად გამოცხადება, რაღაც მიზანს ემსახურება?*

– თბილისში არსებული მემარცხენე (და არა მარტო მათი) ძალების მიზანია ჩამოაცილონ ჟვანია და მისი გუნდი შევარდნაძეს და დაიკავონ მათი ადგილი (ვგულისხმობ გავლენას და არა პოსტებს). აჭარაში ატეხილი ხმაური შეიძლება შეფასდეს ერთის მხრივ, როგორც რუსეთის პოზიციების გაძლიერების მცდელობა ამ რეგიონში, მეორეს მხრივ კი იმ წმინდა ავადმყოფური, პარანოიალური შეტევებით, რომელიც დროდადრო ჰპოვებს ხოლმე გამოვლინებას აჭარის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ის ძალები, რომლებსაც არც ერთი მხარე ეხატება გულზე და არც მეორე, ჩვენი პოლიტიკოსებისათვის ტრადიციულ ზემოთ ნახსენებ პოზაში იმყოფებიან და მიაჩნიათ, რომ რაც უფრო უარესია სხვისთვის, უკეთესია მათთვის. არადა, აშკარად იგრძნობა ისეთი ძალების მომძლავრება (განსაკუთრებით ქონების ხელახალი გადანაწილების შედეგების გათვალისწინებით), რომელთაც არასოდეს ჰქონიათ სხვა ინტერესი, გარდა პირადი სტატუსისა და პირადი კეთილდღეობისა.

*– ხომ არ გამოვდის ისე, ორ რუსეთზე რომ უყვართ ხოლმე საუბარი – არის რუსეთი ტოლსტოის, დოსტოევსკის (თურმე იგივე ელცინის) და რუსეთი გრაჩოვების, ბაბურინების, ჟირინოვსკების. ჩვენი ხელისუფლებაც ხომ არ გავმიჯნოთ „კარგებად“ და „ცუდებად“?*

– ირონია სავსებით ლოგიკურია. ხელისუფლება ერთია და პასუხისმგებლობაც ყველაფერზე მას ეკისრება. მიუხედავად ამისა, არ ვიქნებით სწორი, თუ ყველას ერთი თარგით გავზომავთ. ცხოვრება გაცილებით რთულია, ვიდრე მარტივი სქემები. პოლიტიკური პროცესიც ინტერესთა ბალანსია. სულაც არ იქნება გასაკვირი, რომ გვეთქვა, რომ მართლაც არის ხელისუფლებაში რეფორმატორული და ანტირეფორმატორული, კორუმპირებული და არაკორუმპირებული ნაწილი. გახსოვთ, ალბათ გურამ დოჩანაშვილს გმირი რომ ამტკიცებს, ერთს პლიუს ერთი განა ყოველთვის ორიაო.. სერვანტესიც ერთი კაცია და ვიღაც გამქლელიცო. განა სააკაშვილიც დეპუტატია და ვიღაც „გამქლელი“ პარლამენტარიც, რომელსაც ჩვენი ყველაზე დიდი მტერი სავალუტო ფონდი ჰგონია? ან რეზო შავიშვილიც „მინისტრია“ და ნადიბაიძეც?

სხვათა შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი დადებითი ნაბიჯი შევარდნაძის საკადრო პოლიტიკაში (უფრო სწორი იქნებოდა, რომ გვეთქვა – საბაზო პოლიტიკური ძალის არჩევაში) იყო ბოლო საპარლამენტო არჩევნებში ე.წ. „ჟვანიას ფრთაზე“ ანუ მოქალაქეთა კავშირის პოლიტიკურ ნაწილზე დაყრდნობა და მისადმი მხარდაჭერა.

მოქალაქეთა კავშირი რომ ყოფილი კომუნისტურ-კომკავშირულ-სამეურნეო აქტივისა და კომფორმისტული ინტელიგენციის ნაკრებია, ეს სიახლეს არ წარმოადგენს. ეს პარტია არაფერია შევარდნაძის გარეშე და მომავალში ამ სახით ვერც იარსებებს. ამ მასას პოლიტიკურ სახეს აძლევს ორი რამ – ერთი თვით შევარდნაძის ფაქტორი, როგორც ამ ორგანიზაციის ლიდერისა და მეორე – ახალგაზრდა პოლიტიკოსთა გუნდი, ძირითადად ყოფილი „მწვანეები“, რომლებიც ფაქტიურად განსაზღვრავენ ამჟამად „მოქალაქეთა“ პოლიტიკურ სახეს. დანარჩენი, ასე ვთქვათ, „ჭაობი“, მანამ იქნება ამ სტრუქტურის შემადგენლობაში, სანამდის აძლევს „შევარდნაძის ამალაში“, „უმრავლესობის პარტიაში“ ყოფნის საშუალებას. ხელისუფლების პარტიაში ყოფნა მათ სჭირდებათ თავიანთი უსაფრთხოებისათვის, რაც საბოლოო ჯამში მათი, როგორც პირადი, ასევე ჯგუფური ინტერესების დასაკმაყოფილებლად (მათ შორის ქონების დასაგროვებლად) სჭირდებათ.

*– დაახლოებით ისე გამოდის, როგორც ჩაპაევი ამბობდა! როდესაც მას ჰკითხეს, რომელ პარტიაში ხარო, უპასუხა – პარტია არ ვიცი მე, იქა ვარ, სადაც ლენინი არისო..*

– არც მთლად მასეა საქმე. ჩაპაევის ეს სიტყვები მის იდეურობაზე მიუთითებს. სწამს ამ კაცის და იმიტომაც დგას იქ. ჩვენი ზემოთნახსენები ადამიანებისათვის უფრო ჟოზეფ ფუშეს პრინციპი გამოდგება. რომელიც ამბობდა, რომ იმ პარტიის წევრი ვარ, რომელიც ხელისუფლებაშიაო. ამიტომაც იყო, რომ ყველა ხელისუფლებას კარგად ერგებოდა... მოქალაქეთა კავშირის წევრების უმეტესობა (პირველ რიგში მათი რეგიონული წარმომადგენლობა), ხვალ რომ გამსახურდიას ე.წ. „კანონიერი ხელისუფლება“ აღსდგეს, ასევე წარმატებით იქნებიან „უმრავლესობის პარტიაში“.

ამ ფონზე, მოგეწონს თუ არ მოგეწონს, დღევანდელ სახელისუფლო სტრუქტურებში მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდული, პოლიტიკური ნაწილი არის ყველაზე ჯანსაღი რგოლი და ბოლო ხანებში მათ წინააღმდეგ მიმართული მრავალმხრივი დარტყმების (რუსეთიდან, თბილისიდან თუ ბათუმიდან) გათვალისწინებით მათ მხარდაჭერა სჭირდება.

ბუნებრივია, ბევრს აღიზიანებს მათი არათანმიმდევრულობა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ისეთი ნაბიჯებიც იქნა გადადგმული მათი მხრიდან, რომელიც თუმცა ძალზე მოკრძალებული, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი ქმედების ნიშნებს შეიცავდა. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მათი გარიყვა ბევრს უნდა და გარკვეული სიფრთხილე ზოგჯერ საჭიროც კი არის.

მოკლედ, როგორადაც არ უნდა ვაკრიტიკოთ შევარდნაძის საკადრო პოლიტიკა (რაზეც ორი აზრი თითქმის არავის აქვს, მათ შორის მის მხარდამჭერებსაც), არ ვიქნებით ობიექტურები, თუ არ აღვნიშნავთ იმას, რომ მისი მხრიდან ეროვნული მოძრაობის არცთუ ისე წონადი, მაგრამ მაინც თვალშისაცემი ფრთის თავის ერთ-ერთ საბაზო პოლიტიკურ ძალად გამოკვეთა იყო მისი მხრიდან მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

*– რამდენად მყარია ამ ჯგუფის პოზიცია. შევარდნაძე ხომ ხშირად ცვლიდა პარტნიორებს?*

– შევარდნაძეს, მისი ჩამოსვლის დღიდან, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები სთავაზობდნენ თავის თავს დასაყრდენად. სხვადასხვა ეტაპზე იგი ირჩევდა თავის ფავორიტებს, როგორც პარტიებს, ასევე პიროვნებებს. ეს იყო მეტად ჭრელი და ოდიოზური სიმბიოზი (გავიხსენოთ ბლოკი „მშვიდობა“ თავისი მონარქისტებით, კომუნისტებით, სოციალისტებით, ლიბერალებით...). თითქმის ყველა მეტნაკლებად გავლენიანი პოლიტიკური ძალა (გარდა გამონაკლისი პარტიებისა) ილტვოდა მის გუნდში მოსახვედრად. ამ „ფავორიტმა ძალებმა“ ძალზე ცუდად დაგვამახსოვრეს თავი.

დღესაც, როდესაც ძირითადი პოლიტიკური, დიპლომატიური თუ სამეურნეო პოსტები ყოფილ პარტიულ და განსაკუთრებით – კომკავშირულ ელიტას უჭირავს, როდესაც სახელმწიფო ქონების გადანაწილების შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდა ძველი „პარტიულ სამეურნეო აქტივის“ პოზიციები ქვეყანაში, დღევანდელ ხელისუფლებაში აქა-იქ მიმობნეული (პარლამენტში კი შედარებით კარგად წარმოდგენილი) ახალი ტიპის პოლიტიკოსები ქმნიან იმ „უმცირესობას უმრავლესობაში“, რომლებიც, თუკი ყოველთვის ვერ ახერხებენ კარგი საქმის კეთებას, ხელს მაინც უშლიან ცუდს. მათი დასუსტება არ წაადგება არც იმ ეროვნულ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც მათ სავსებით ობიექტურად აკრიტიკებენ მრავალი მიზეზის გამო და არც ქვეყანაში პოლიტიკური პროცესის გაჯანსაღების საქმეს.

*– მიუხედავად იმისა, რომ აქლემისა და ნემსის ყურდი ნამდვილად არ არის ერთნაირი „წონითი კატეგორიის“ ყურდი, თუკი პრესაში ატეხილ აურზაურს და სასამართლო გარჩევებს გავიხსენებთ, არც მთლად ანგელოზებად გამოიყურებიან ჩვენი ახალი ტალღის პოლიტიკოსები?*

– მე არა ვარ კომპეტენტური განვსაჯო ამ დავებში მტყუანი და მართალი. ერთი რამის თქმა კი დაბეჯითებით შემიძლია: მთელი ცხოვრება რომ იპარონ ჟვანიამ, ბარამიძემ, სააკაშვილმა, ადამიამ, ჩიტაიამ და მთელმა ყოფილმა „მწვანეებმა“, იმდენს მაინც ვერ მოიპარავენ, რამდენსაც ზოგიერთი ვიცე-პრემიერი ერთ დღეში იპარავდა.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი მარცხი, რაც საქართველოში პატიოსანმა პოლიტიკოსებმა და საერთოდ ნებისმიერმა წესიერმა ადამიანმა განიცადა – ესაა კორუმპირებული ძალების გამარჯვება საზოგადოებრივ აზრზე. მათ კარგად გამოიყენეს ჩანასახის მდგომარეობაში მყოფი თავისუფალი მასმედიის სისუსტეები და მათი მეშვეობით შექმნეს ისეთი სურათი, რომ ამქვეყნად წესიერი არავინაა. ამით მათ გადაირჩინეს თავი, აიცილეს სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რადგან დანაშაულისათვის შეიძლება დასაჯო ადამიანთა გარკვეული რაოდენობა, მაგრამ შეუძლებელია ყველას დასჯა. მათი ქმედების ლოგიკა მარტივი იყო: „დასწამე ცილი ყველას, რათა საკუთარი დანაშაული ასევე ცილისწამებად იქნას აღქმული“. ამნაირად შექმნილ შთაბეჭდილებათა გამო დღეს ვერავისზე იტყვი პატიოსანიაო. კაცი არ მეგულება საქართველოში, მეტნაკლებად ცნობილია, ვისზეც არ უთქვამთ; ეს მოიპარა, იმის აგენტია. ამისგან ქრთამი აიღოო.

სწორედ საზოგადოებრივი აზრის „დამსახურებაცაა“ ის გარემოება, რომ არ დასჯილა არცერთი ადამიანი, ვინაც უზარმაზარი ზიანი მიაყენა ქვეყანას თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო (თუ არ ჩავთვლით იმ პიროვნებებს, რომელთა დასჯაც განპირობებული იყო „პოლიტიკური მიზანშეწონილებით“). ამის ერთ-ერთი მიზეზი, როგორც უკვე აღვნიშნე, ისიც იყო, გაძნელდა მტყუან-მართალის გარჩევა. ყველა რაღაცით დამნაშავე გამოვიდა. არადა, ეს ხომ ასე არ არის. ცილისწამებათა კამპანიამ კი თავისი უარყოფითი შედეგი უკვე გამოიღო.

*– მიუხედავად იმისა, რომ არის მცდელობა ხელისუფლების ერთი ნაწილის მხრიდან ებრძოლონ კორუფციას, შედეგი მაინც ნულის ტოლია. მოიტანს თუ არა პარლამენტის ანტიკორუფციული კომისიის კამპანიური მუშაობა რაიმე შედეგს, თუ გამოვა ისე, როგორც „მარგიანის საქმეთან“ დაკავშირებით გამოვიდა, ანუ იყო აურზაური, დამთავრდა ჩუმი ზავით.. უფრო სწორად, ბარამიძის მარცხით.*

– კორუფციის დაძლევის პრობლემაზე ძნელია ორიოდე სიტყვით საუბარი. ის საზოგადოების ყველა კუთხე-კუნჭულში და მის ცნობიერებაში გამჯდარი სენია და მის აღმოფხვრას სჭირდება დრო, ძალისხმევა, კანონები, კულტურა, სოუხვე, ზნეობა და ა.შ.

რაც შეეხება ანტიკორუფციულ კამპანიას, პირადად მე მირჩევნია რომ იგი იყოს, ვიდრე საერთოდ არაფერი არ იყოს. ისევე, როგორც მირჩევნია არსებობდეს ასეთი კომისია (და მას ჰყავდეს ასეთივე გაბედული ხელმძღვანელი), ვიდრე არ არსებობდეს. ერთი კომისიით პრობლემა რომ არ გადაიჭრება, ყველამ კარგად ვიცით. მთავარია რაღაცით დავიწყოთ, შევაჩვიოთ ჩვენი გონება იმას, რომ ეს არის პრობლემა, სერიოზული დაავადება და რომ მას უნდა ამოძირკვა. ამ კამპანიას აქვს ზნეობრივი (არა მარტო დამაფრთხობელი) დანიშნულებაც. ყველაფერი რაღაცით იწყება.

რაც შეეხება ბარამიძის მარცხს, ეს პროცესი არ არის სპრინტი. ესაა მარათონი. გამარჯვებულ-დამარცხებულს აჩვენებს დისტანცია.

ამ კონტექსტში ერთი ანალოგიური აქცია მინდა გავიხსენო. როდესაც მთავრობაში მოვედი ამ შვიდი წლის წინათ, 1992 წელს, მრავალ სხვადასხვა რეფორმათა გვერდით პირველივე დღეებშივე გამოვაცხადეთ სამართალდამცავი ორგანოების რეფორმა. უპირველეს ყოვლისა „ობეხეს“ გაუქმება დავისახეთ მიზნად. ეს იყო ურთულესი ბრძოლა. ბევრს ჰგონია, რომ მე ეს ბრძოლა წავაგე. არა და ასე სულაც არ არის. დღეს უკვე არ არსებობს ის „ობეხე“, რაც მაშინ იყო. დღეს კონტროლის პალატას თავისი ფუნქციები აქვს, საგადასახადო სამსახურს თავისი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურს კი თავისი, მაშინ კი „ობეხე“ იყო ყველაფერი: რევიზორიც, კონტროლიც, პროკურორიც და ინკასატორიც. დღეს რომ ფუნქციები გამიჯნულია, არ არის განუკითხაობა და სამეურნეო სუბიექტთა კონტროლის სფერო მეტნაკლებად მოწესრიგებულია, სწორედ იმ რეფორმების შედეგია.

ერთი კია, არც მაშინ და არც ახლა, ჯანსაღი სტრუქტურების დამკვიდრება არასდროს ყოფილა ხელისუფლების, როგორც ერთიანი გუნდის სადარდებელი. ბევრმა რამემ ენთუზიასტების მხრებზე გადაიარა. ენთუზიაზმით კი საქმე არ კეთდება. ენთუზიაზმით საქმე იწყება.

ჩვენს პირობებში ესეც საქმეა!

ესაუბრა
ბელა ეგანოიძე

საქართველო

# მწერლობა

# კარდუ

## ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი

**აკაკი ბაქრაძე**

### ახალი გრაალი

1926 წლის სექტემბერ-ოქტომბრის „ქართულ მწერლობაში“ ნიკოლო მიწიშვილის „ფიქრები საქართველოზე“ გამოქვეყნდა. „ფიქრებმა“ მაშინაც და მერეც ჩვენს საზოგადოებაში დიდი ფოციაკალი (ფოციაკალი - აჟიოტაჟი.) გამოიწვია. ცხარე სჯა-ბაასი გაჩაღდა. ავტორს ქართული ეროვნული ენერგიისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებას საყვედურობდნენ. „ფიქრებს“ მაშინაც და მერეც ჯეროვანი გულდასმით და გულისყურით არ მოეკიდეთ. ნიკოლო მიწიშვილის „ფიქრებში“ სასოწარკვეთილების ისეთივე ტკივილი და ყვირილი იყო, როგორიც ილიას „ბედნიერ ერში“ და მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ (თუმცა ოციან წლებში ვინ დაიჯერებდა, რომ მწარედ ახდებოდა მიხეილ ჯავახიშვილის წინასწარმეტყველება - საქართველო თეიმურაზ ხევისთავად გადაიქცეოდა). ოღონდ ილია ქართული სულიერი სამყაროს უფსკრულს პოეზიის ენით ამხელს, მიხეილ ჯავახიშვილი - პროზისა და ნიკოლო მიწიშვილი - პუბლიცისტიკის. არც მარტო ყოფილა პოეტი. იმავე სევდით და გულისტკივილით იყვნენ მაშინ შეპყრობილი სერგი დანელია და კონსტანტინე კაპანელიც.

ქართული საზოგადოება ნიკოლო მიწიშვილს აუმხედრდა. ასევე მიესიენ ილიასაც, როცა „კაცია-ადამიანი?!“ დაიბეჭდა. მოკვლასაც კი უპირებდნენ. მიხეილ ჯავახიშვილსაც ქვა და გუნდა დაუშინეს „ჯაყოს ხიზნებისათვის“. ამგვარი დამოკიდებულების მსხვერპლი გახდა ნიკოლო მიწიშვილის „ფიქრებიც“. თორემ „ბედნიერი ერის“, „ჯაყოს ხიზნების“, „ფიქრების“ არსს რომ ჩავწვდომოდით, საქართველოსა და ქართველი ხალხის ხვედრი დღეს სრულიად სხვა იქნებოდა.

„ფიქრების“ გამო ატეხილ დავა-პაექრობაში გრიგოლ რობაქიძეც მონაწილეობდა. 1927 წლის „ქართული მწერლობის“ პირველ ნომერში მისი „საქართველოს ხერხემალი“ დაისტამბა. გრიგოლ რობაქიძემ უარჰყო გულგატეხილობა, ამტკიცებდა: ქართული ეროვნული ენერგია არაფრით ჩამოუვარდება სხვა ხალხებისას. პირიქით, ზოგჯერ სჯობნის კიდეც.

ნიკოლო მიწიშვილმა უპასუხა ოპონენტებს. როცა გრიგოლ რობაქიძეს ეპაექრებოდა, გაკვირვება გამოთქვა: ადრე ისიც ჩემებრ ფიქრობდა, ახლა აზრი შეუცვლიაო. გრიგოლ რობაქიძის ციტატაც მოიშველია:

„ჩვენ გვიყვარს „სემიტური გამოჩენა“. მაგრამ ჩვენ არიული „გამორჩევაც“ გვიყვარს. „ლალაგადასმულობის“ (ლალა - სწორი ჯოხია, რომლითაც მარცვლეულით სავსე ჭურჭელს, პირზე გადასმით, ზედმეტ მარცვალს გადააცლიან, გაასწორებენ. ლალაგადასმულ საზოგადოებას ქმნიდნენ კომუნისტები სსრკ-ში.) დასაწყისს ჩვენს ბუნებაში ეომება პრინციპი „აზნაურობის“. ჩვენ ხშირად გვძლევს ხოლმე წვრილმანობა. მაგრამ ხშირად გვაჯადოებს რაინდული „ხმალში გამოწვევა“; ჩვენ „მეწვრილმანებიცა“ ვართ და „რაინდებიც“. ქართველი კაცი „ლაქიაც“ არის და „მეფეც“, „ჟულიკიც“ და „არისტოკრატიც“. ქართული ყოფა ფუნქციონალურია. საქართველო არის და კიდევაც არ არის. მას არ სჯერა თავისი თავის და სურს სხვა იყოს. ქართველი გაურბის თავის-თავს (ცუდს), რომ ნახოს თავის-თავი (უკეთესი). ამიტომ ისმება საკითხი: ან თავის-თავის მონახვა, ან სრული დაღუპვა. გზა ხსნილი არ არის სხვა“ („ბარიკადი“, №1).

ასე წერდა გრ.რობაქიძე 1920 წელში.

ძნელია ამ ფიქრების ოპტიმისტურად გამოჩენა. ყოველ შემთხვევაში ძნელია სწორედ იმ ისტორიული საქართველოს მიმართ, რომელსაც დღეს გრ.რობაქიძე ასეთის კმევით იხსენიებს.

საკვირველია, მხოლოდ, რომ 1920 წლის იჭვიანობა ჩვენი ისტორიისა და ქართული ბუნების მიმართ გრ.რობაქიძეს 1927 წელში გაქარწყლებია და მის ფიქრებს, ასეთის უკუხვეულობით, 1927 წ. ძველი საქართველოს აპოლოგიამდე მიუღწევია“ („ქართული მწერლობა“, 1927 წ., №1 გვ. 81).

ნიკოლო მიწიშვილი მართალი იყო. თავდაპირველად გრიგოლ რობაქიძესაც აწამებდა ეჭვი ქართული ეროვნული ენერგიის მიმართ „და მეშინია არა ვთქვა მაინც, რომ საქართველო არის მიქარვა“ („ბარიკადი“, 1920 წ. №3 ლექსი - „საკუთარი ტოსტი“).

უფრო ადრე 1913 წელს სტატიაში - „ერის სული და შემოქმედება“ - იგი ამბობდა:

„საქართველო აღარ არის მთელი და, როგორც ცოცხალი არსი, იგი ქართველში არ არსებობს. სამაგიეროდ დარჩენილან ნაწილნი და ნაწილნი თვითონვე ცდილობენ მთელობას. საქართველო მე ვარ - აი ფსიხიური განცდა ქართველისა. ეს საბედისწერო მოვლენა ჰქმნის იმ საშინელ ტრაგიზმს, რომელიც შავი მოჩვენების სახით თანსდევს ყოველს ჩვენს გადადგმას: შური, მძულვარება, გაუტანლობა და ქუჩის, როგორც სიცოცხლის სიმბოლოს, გამეფება. დავკარგეთ მთელი ჩვენს არსებაში და მით თავზე ხელი ავიღეთ“...

საქართველოს, როგორც მრთელის, შეუცნობლობას ხედავდა იგი ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის შემოქმედებაშიც.

„ყოველი მათგანი დიდი ნიჭის პატრონი იყო, მაგრამ ვერც ერთი მათგანი მსოფლიო გენიოსად ვერ იქცა. რისთვის? მისთვის, რომ არც ბარათაშვილი, არც ჭავჭავაძე, არც წერეთელი არ გრძნობდა შეუცნობელს სფეროში საქართველოს როგორც ერთს დიადს მთელს (ხაზი ჩემია - ა.ბ.). ისინი იტანჯებოდნენ მისი იდეალური სახისათვის და ხელოვნებით ცდილობდნენ შეექმნათ მისი სასურველი და შესაძლო სახე. ეს „ცდილობა“ გმირობათ ჩაეთვლებათ ჩვენს მგოსანთმამულიშვილთ, მაგრამ იგივე „ცდილობა“ ხელს უშლიდა მათი ფანტაზიის თავისუფალს ნავარდსა. ამით იხსნება ის გულისხმიერი მოვლენა, რომ მათს შემოქმედებაში ხანდახან ხორცსხმული სიმბოლოს მაგიერ მხოლოდ უსხეულო ალეგორია იბადება“ („სახალხო გაზეთი“, 1913 წ., №870).

როგორც ნიკოლო მიწიშვილს,



ისე გრიგოლ რობაქიძესაც აფიქრებდა რუსთაველის განსაკუთრებულობა და გამორჩეულობა ქართულ სამყაროში. გრიგოლ რობაქიძე ივანე გომართელს ეკითხებოდა: „შოთა იმდენად ირჩევა ყოველი ქართველისაგან, რომ მის ქართველობაშიც ეჭვი გვეპარება, რით აიხსნება ასეთი საიდუმლოება?“ მაგრამ 1927 წელს იგი უკვე აღარ ფიქრობდა ასე. რუსთაველი ქართული კულტურის უღრმესი ფესვებიდან ამოზრდილ მოვლენად მიაჩნდა. „საქართველოს ხერხემალში“ იგი იხსენებს „შუშანიკის წამებას“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, ეფრემ მცირეს, დიდ მთაწმინდელებს და ასკვნის: „ამის შემდეგ, რასაკვირველია, რუსთაველი აღარ არის „გაუგებრობა“.

გრიგოლ რობაქიძის შეხედულებათა განვითარება იოლად არ მომხდარა. იგი თანდათანობით ხდებოდა. მაგრამ უკვე 1920 წელს დასვა საკითხი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მისი შემოქმედებისათვის: თავისთავის მონახვა. საქართველო მაშინ დაიღუპებოდა, თუ თავისთავს ვერ მონახავდა. თავისთავის მონახვა იყო უპირველესი და არსებითი.

გრიგოლ რობაქიძემ დიდი შრომა შეალია თავისთავის, ანუ ქართველთა მსოფლხატის მოძებნას. მისმა ძიებამ ორი მიმართულებით ჰპოვა გამოხატულება - წმიდა გრაალის ახალი ლეგენდის შექმნით და კარდუს კერპის ჩამოყალიბებით.

ჯერ ახალი გრაალის შესახებ.

გრაალის თემა ევროპულ ლიტერატურაში განსაკუთრებით პოპულარული ჯვაროსანთა ლაშქრობის ეპოქაში ხდება. 1099 წელს ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს. ოცი წლის შემდეგ კი, 1119 წელს ტაძრის რაინდთა, ანუ ტრამპლიერთა ორდენი შეიქმნა. ამ პერიოდს მოჰყვა ორი დიდი ევროპელი პოეტის გამოჩენა სალიტერატურო ასპარეზზე. ერთია ფრანგი კრეტიენ დე ტრუა (დაახლოებით 1150-1190 წ.წ.) და მეორე - გერმანელი ვოლფრამ ფონ ეშენბახი (დაახლოებით 1170-1220 წ.წ.). სწორედ მათი შემოქმედება უყრის მტკიცე საძირკველს გრაალის თემას. მას მერე ევროპულ ლიტერატურაში გრაალის თემისადმი ინტერესი აღარ განელებულა.

გრაალის თემა უშუალოდ უკავშირდება ბრიტების ლეგენდური მეფის არტურისა და მრგვალი მაგიდის რაინდების ცხოვრება-საქმიანობას. გრაალის რაინდები პარციფალი (სხვანაირად, პერსევალი), ლანსელოტი, გავეინი, გალაჰადი, ბორსი და სხვანი ართურის მრგვალი მაგიდის რაინდებიც არიან. მეფე ართურის გარშემო არსებულ ცნობებში ერთმანეთში აირია და აითქვიფა ისტორია, მითი და ფოლკლორი. იმდენი მასალა დაგროვდა, რომ ევროპულ მედიევისტიკაში საგანგებო დარგი შეიქმნა - ართუროლოგია. მე-12 საუკუნის ინგლისელი მემატიანე გალფრიდ მონმუტი „ბრიტების ისტორიაში“ უმთავრეს ადგილს მეფე ართურს უთმობს, ხოლო მეორე მემატიანე გირალდ კამბრეი (დაახლოებით 1146-1220 წ.წ.) იმასაც კი გვიამბობს - თავად როგორ დაესწრო მეფე ართურის სამლოცველოს გახსნას გლასტონბერის სააბატოში. როგორ იხილა მეფის ფარი და ჯვარი. მე-10 საუკუნის „კამბრიის ანალებში“ კი ისიც არის ნათქვამი, რომ ართური მოკლეს 537 წელს კამლანთან ბრძოლაში. და მაინც ზოგიერთი დღევანდელი ისტორიკოსი ფიქრობს, რომ ართური არ არის ისტორიული პირი. იგი ლეგენდის პერსონაჟია.

ლეგენდა ამა თუ იმ ადამიანის ისტორიულად არსებობას ხელს არ უშლის. ლეგენდის პერსონაჟი შეიძლება ისტორიული პირიც გახდეს. ამის უტყუარი მაგალითია ჩვენი თამარ-მეფე. თამარის გარშემოც უამრავი თქმულება და გადმოცემა არსებობს. ჩვენს ფოლკლორში იგი გაზღაპრებულია მაგრამ არავის ეპარება ეჭვი, რომ იგი რეალურად არსებული ისტორიული პირი იყო. ალბათ, ასე დაემართა ბრიტების მეფე ართურსაც. ბრიტების ისტორიაში მისი განსაკუთრებული როლის გამო რეალური ხელმწიფე ლეგენდად იქცა.

ჩვენ კი ლეგენდისა და მითის ართური უფრო გვენიაზება, ვიდრე ისტორიისა. ლეგენდის ართურის სამეფოს არა აქვს არც დასაწყისი და არც დასასრული. იგი თითქოს მარადიულად არსებობს. მას არც გეოგრაფიული საზღვრები აქვს. ეს არ არის ბრიტანეთის სამეფო. იგი ერთიანი ქრისტიანული სამყაროა, სადაც რაინდები იესო ნაზარეველის იდეალების გამარჯვებისათვის იბრძვიან. იგი უტოპიაა, რომელშიც უნდა განხორციელდეს კაცობრიობის უკეთესი ოცნება.

ფრიდრიხ შლეგელი (1772-1829 წ.წ.) მეფე ართურის მრგვალ მაგიდას უკავშირებს იმ მაგიდას, საიდუმლო სერობის ღამეს ქრისტე და მისი მოწაფეები რომ უსხდნენ.

გერმანელი პოეტი და ფილოსოფოსი გვიამბობს: ერთხელ მერლინი მივიდაო მეფე უტერპენდრაგონთან და უთხრა (უტერპენდრაგონი მეფე ართურის მამაა, მერლინი კი ბრიტანული თქმულებების პროტაგონისტი, ჯადოქარი და გრძნეული) - როცა მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე, ჯვარს აცვეს, პალესტინაში ცხოვრობდა ღვთისმოსავი რაინდი იოსებ არიმათიელი. იგი პილატე პონტოელის სამსახურში იდგა, მაგრამ ფარულად ქრისტეს მიმდევარი იყო. იოსებ არიმათიელმა გამოისყიდა პილატესაგან ქრისტეს ცხედარი და დაკრძალა იგი. იესოს ერთგულებისა და სიყვარულისათვის ებრაელებს სძულდათ იოსები. სდევნიდნენ მას და უთვალავი ტკივილი მიაყენეს. ქრისტეს აღდგომის შემდგომ იოსებ არიმათიელი, მისი ოჯახის წევრების, მეზობლების, ნაცნობ-მეგობრების უმრავლესობა უდაბნოში წავიდა. ძალიან გაუჭირდათ იქ ბევრი ტანჯვა-ვაება გადაიტანეს. ზოგიერთი შიმშილითაც კი მოკვდა. ხალხში დრტვინვა დაიწყო. იყვნენ ისეთებიც, იოსების მოკვლას რომ აპირებდნენ. რაინდი ხედავდა ხალხის ტანჯვას. დიდად წუხდა. ერთ დღეს იგი გულმხურვალედ ევედრა უფალს, ეხსნა ხალხი განსაცდელისაგან. მაშინ უფალმა უბრძანა იოსებ არიმათიელს: გააკეთე ზუსტად ისეთი მაგიდა, როგორიც იყო ის, რომელზეც საიდუმლო სერობის ღამეს მოციქულები ტრაპეზობდნენ. გადააფარე თეთრი სუფრა. გააწყვე ნუგბარი საზრდელით, დადგი მაგიდაზე ოქროს თასი. ამ თასს მე თვითონ გამოგიგზავნი. ამ ჭურჭელს თვალის ჩინივით გაუფრთხილდი და მოუარე.

აასრულა იოსებ არიმათიელმა უფლის განკარგულება. გააკეთა ყველაფერი ის, რაც დაავალეს.

გაგრძელება იქნება

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №109-115

# ზის თეთრად დაფენილი ჟამთააღმწერელი და...

და წერს მატიანეს ქართვლისას. მემატიანე არა კარისა, – კარიდან მუდამ შორს მყოფი, ამადაც კარისკაცებისგან მუდამ მოძულებული. თავადაც აინუნში არ ჩამგდები იმ კარისკაცებისა...

წერს მატიანეს არა ძველსა, არამედ ახალს.

ძველი მატიანის მართლად წერას ნიჭი, ცოდნა, პატიოსნება სჭირდება.

ახალი მატიანის მართლად წერას ნიჭი, ცოდნა, პატიოსნება და დიდი გაბედულება, თან იმ საცთურზე უარის თქმა, რაც ართქმამ, ან შელამაზებულად თქმამ შეიძლება მოგიტანოს...

ახალი მატიანის პირუთვნელად წერას ასევე მზაობა, წინასწარი შეგუება სჭირდება იმისათვის, რომ მარტო იქნები, მოძულებული რამდენიმე განდობილთან ერთად...

თუმცა არც მთლად უკომპენსაციობაა, არც მთლად უმადურობაა ამ საქმის თანამდევი.

შენი სიტყვა იქ, ხალხის გულში ნახულობს ბინას და იმათი სიყვარული გითბობს გულსა და ძვლებს.

ამ სიყვარულთან სხვა ორდენი, სხვა ჩინი, ძლიერთა მხარზე ხელის მოთათუნება რა მოსატანია.

ზის თეთრად დაფენილი ჟამთააღმწერელი და წერს პირუთვნელ მატიანეს ქართვლისას.

ეს ჟამთააღმწერელი – ოთარ ჩხეიძეა. მატიანე მისი – მხატვრული, ბრწყინვალე რომანებში გაცხადებული.

ამ მატიანის წერაში გათეთრდა.

მისი რომანები მოიცავს ეპოქას 1921 წლიდან დღემდე.

ესენია: „ბორიაყი“, „ცხრაწყარო“, „ტინის ხიდი“, „ჯებირი“, „ბურუსი“, „მეჩეჩი“, „ცთომილნი“, „ალმართ-დაღმართი“, „კვერნაქი“, „ნაკრძალი“, „ლანდები“, „გამოცხადება“, „ჩემი სავანე“, „ვენეციური ქალი“, „მთაგრეხილი“, „ამაღლება“, „არტისტული გადატრიალება“ და ბოლოს „თეთრი დათვი“, რომელიც ახლახან დაასრულა მწერალმა და მოიცავს 1992 წლის 6 იანვრიდან განვლილ ქარტეხილიან პერიოდს ჩვენი ისტორიისა.

ქვემოთ გთავაზობთ ნაწყვეტს ბატონ ოთარ ჩხეიძის ახალი რომანიდან „თეთრი დათვი“.

ამ ვრცელ ამონარიდში პერსონაჟების ვინაობის დადგენა არ გაგიჭირდებათ. ისინი საკუთარი გვარ-სახელებით ჰყავს მწერალს წარმოდგენილი...

ნოდარ გრიგალაშვილი



## ოთარ ჩხეიძე

# დიზაინი

## «თეთრი დათვი...»-დან

მსმენელები ნუ გაფიქრებსო: ქეთევანმა: ჩვენთან მოდი, სამსახურში. უქმადა ვსხედვართ. სიამოვნებით მოგისმენთო. ესეც შეაპარა: აქ დარჩი. იქ იმდენ ყურადღებას ვერ გაქცევ. ჯერ კიდევ ცოდო ხარ მარტოდმარტოო. პირველიც მოიწონა, მეორეც მოიწონა ბაადურმა, ოღონდაო: ერთხანს მაინც მარტო მირჩევნიან. შესავალი ლექციები საფუძვლიანად უნდა მოვამზადო, ეს მხოლოდ საუბრები ჰო არა, – წიგნი უნდა იყოსო. აღარ აჰხირებია ქეთევანი. ორი დღის საგზალი გამოუწყო, თითქოს რო საკვირაო გასასეირნებლად ისტუმრებდა თბილისის გარეშემო. ორი დღის მერე მოგაკითხავ თუ არ დაგიშლია, თუ არა და ეგებ რო ჩემი რჩევაც დაგიჯდეს ჭკუაშიო. აღარც ბაადური აჰხირებია: ვნახოთო. თუმცა იცოდა, რო არ გადავიდოდა თავისასა. არც გადავიდოდა. ვერც გადავიდოდა. სრული სიყრუე უნდოდა, გარინდებაი სრული. უნდოდა. უჯობდა რაღა თქმა უნდა. სურვილი კარგია თუ რო დააცდიდნენ, თუ რო მიუშვებდნენ ნებასა. ვინ მიუშვებდა?.. ვის მიუშვებდნენ?.. ტელეფონი აუტყდა. გამოთიშა. კარსაც მიადგნენ. ზარი არა რეკდა. მერე და რაო, – მუშტები დაუშინეს. წიხლები დაუშინეს. რაღას იზამდა. კართან ვიღაც ახმახი იდგა. საომარი სამოსი წარმოიდგინა. გაჯაგული წვერულვაშითა. ავტომატითაცა რაღა თქმა უნდა. არადა: ახლადახალი კოსტუმი ემოსა, ფეხსაცმელებიცა, ჰალსტუხი ლაულაჟა, მაღაზიაშივე გამოკვანძული, ახლადახალ მაღაზიაში, უცხოურში, უცხოური წარწერებითა, – აჭრელებულიყო თბილისი რო, სამოსიცა რაღა თქმა უნდა. ბატონი ღვინჯილია დაჟობდა: სახელმწიფო დეპარტამენტი უნდა შეიქმნას უცხოური ფირნიშების წინააღმდეგ საბრძოლველადაო. ეს ერთიო. მეორეც უნდა შეიქმნას: ფირმის ნიშნების ამოსაფხეკადა შემოზიდული საქონელიდანაო. დაჟობდა. გაიტანდა თავისასა. შეჰქმნიდა. წამოსკუპდებოდა. ჩინოვნიკები ვერ იხსნიდნენ ქართულ ენასა. იხსნენ. ვერც უხსნიათ. ენას არისტიდე იხსნიდა. კეისარი. რომაელი. ბერძნული ბრწყინვალედ იცოდა. ბოდიშს იხდიდა, საუბრისას ბერძნული სიტყვა თუ გამოერეოდა. არც დაამტკიცებდა სენატის დადგენილებასა, ბერძნულ სიტყვას თუ წააწყდებოდა თუნდაც ერთსა. ეშველებოდა ჩვენს ხალხსა: ხალხისთვის გასაგებ კანონებს შეადგენდა ჩვენი პარლამენტი. ეშველებოდა. იდგა. იღიმოდა: აბა თუ მიცნობო. წარმოსთქვა როგორც იქნა: ძია ბაადურო. „ძია ბაადურ!..“ „ძია ბაადურ!..“ „ძია ბაადურ!..“ ატყდება ხმები იმავდროულადა აქედანა, იქიდანა, იქიდანა, იქიდანა: რომელია?.. რომელი იმათგანი?.. რომელიც უნდა იყოსო, კარებს გაუღებს ყურთამდისა. თვითონ განს გადგება: ნაბიჯით ვიცნობ, რხევით ვიცნობო. საველე სამოსი და გაჯაგული წვერულვაში ჰო თავიდანვე ეცა თვალშია, – გაგრა?.. სოხუმი?.. თითქმის აღებული და მიტოვებული ტყვარჩელი?.. აღებული და მიტოვებული სოფლები ოჩამჩირის გზეპზე?.. ოჩამჩირე?.. ჭუბერი?.. ულელტეხილი?.. აქეთ!.. აქეთ!.. ჰო: ის არის... და ის დაასწრებს:

„აი დაგიბრუნეთ!..“ და გენო ადამიას ნაჩუქარ პისტოლეტს დაუდებს წინა, თქვენ ალბათ გეგონათ, რო გიმტყუნებდით“.

„არა, არა!.. მე გელოდით. მე მჯერა სიტყვისა, ვაჟკაცის სიტყვისა!..“

ვაჟკაციცა დგას. ვერას დაუწუნებ თვალადა, ტანადა. საქმითაც ჰო: დაჰპირდა. შეუსრულა. იარაღის ტარება უკვე სახიფათოა. კანონით ისჯება. სიტყვა სიტყვაა, მაინც სიტყვაა, როგორი კანონიც არ უნდა დაიწეროს. დაწერ, წაშლი. სიტყვას ვერ წაშლი. მაშინდელია: ქალალდის ჭკუა ჯერაც რო არ გაღვივებულიყო. სიტყვა სიტყვაა. აი სიტყვის კაცი. ბაადური ხელს ართმევს, მხურვალედ ართმევს ხელსა. ის უფრო მხურვალედა. თვალებიც უელავს მხურვალედა, ომიდან გამოსულ ადამიანს რო შეეფერება, ცოცხლად გამოსულსა. სიტყვა ტკბილი აქვს, ხმის კილო საამური. სიამესაც დასტოვებს, გამოემშვიდობება რო, – სიამესა, ახალგაზრდულ მჩქეფარებასა. სევდასაც დასტოვებს, ღრმად ჩამჯდარსა, უთქმელსა, ცხადსა, იმედსაცა, ისევე უთქმელსა. აი ხალხი. ხალხი. ხალხი იქ იყო. ომში შეყრილი. გაუწაფავი ომისათვისა. გაუწაფავი. მოულოდნელი. ხალხი. უხეირო მეთაურები. ხალხი. უიარაღო ისედაცა. განიარაღებული ისედაცა და ასედაცა: ბრძანებითა. ღალატითა. ხალხი. გულითა. სულითა. ანთებული სავაჟკაცო საქმეთათვისა. იქ ღირსება არავის არ აკლდა. მტკიცება არ უნდა არავისი. საბუთები არა სჭირდება: ჰხედავს. ალბეჭდვია. ჰხედავს. ჰხედავს სულსა გმირულსა. განწირულსა. სიცრუე.

სიცრუე. ნდობა. ნდობა?!. ვისი?!. გაშმაგებული არმიები. გამოპანღურებული ავღანეთიდანა. შერცხვენილი. სამხედრო დიდება რო დაიბრუნოს, საქართველოზე იყრის ჯავრსა, – პატარა ქვეყანაზე, ერთი ჩექმის დადგმად რო უღირს. იყრის. იყრის. ვერა, ვერც იყრის, ვერც იყრიდა თუ არა: ნდობა!.. ნდობა ვერაგისა?!. საცოდავი ხალხი. ხალხი. ბრბო. ბეწვია შუაში. ბეწვი. ბეწვი. „ჩვენი სამფლობელო ჰო უსაზღვროა, ჩვენი მიწისას ერთ გოჯსაც არ დავუთმობთ არავისა, ფჩხილითაც არ გავატანთ, სხვისას მოვიხვეტავთ ბულდოზერებითა, ჰპირდებოდა ჰო ელცინი ამომრჩევლებსა, – ჰპირდებოდა და აღასრულებდა: ეზიდებოდა მთებსა, ტყეებსა, მწვერვალებსა, შავი ზღვიანად ეზიდებოდა. ჰყლაპავდა ფორთოხალსა გაუფცქვნელადა: გემიერია ასე უფროო, ურჩევდა თანამემამულეთა. „ურააააააა!..“ გრიალებდა ცაი თუ ზღვაი, მთები იფრქვევოდა, შეძრულიყო რო კავკასიონი, ძირფესვიანად შეძრულიყო. „ურაა!..“ „ურაააააა!..“ „ურააააააააააა!..“ ღრიალებდა მარადის ბრბოი, აეყოლიებინა რო დასავლეთიცა, ანთუ გაესულელებინა რო დასავლეთიცა: შეჰხედეთ, შეჰხედეთ აფსუა ხალხსა, თავს როგორ აღწევს საუკუნოებრივი მონობიდანაო. ბრიყვი დასავლეთი!.. ეშმაკი დასავლეთი, როგორც რო უნდა, როცა თუ უნდა, ისე იმგვარადაც გაიბრიყვებს თავსა. ეშმაკი დასავლეთი, ეშმაკი ჩრდილოეთი, ეშმაკი აღმოსავლეთი, ეშმაკი სამხრეთი, შუამოქცეული პაწია საქართველო, პაწია და ბედოვლათი!.. ანთუ: პაწია და კოპწია, კოპწია და კოკობზიკა, – ვაი შე საცოდავო!.. ჰპირდებოდა და აღუსრულებდა. მოიხლაკნებოდა შავი ღრუბელი გველხოკერებისა. მოშლილიყო ფრონტი. ჯარი და ხალხი არეულიყო ერთიმეორეში. ვინ ვის გაასწრებდა. ანთუ რა ჯარიო, ანთუ რა ხალხიო, – ბრბოი ათქვეფილი, აზელილი, აღარც სად ტანიო, აღარც სად სახეო. თვალმა დაჰკარგა სახეთა გარჩევაი, იქ დაჰკარგა და ვერც აქ უპოვნია. ვერა. ველარა.

„იყო ღალატი...“ მოსთქვამს სახელმწიფოს მეთაურ, „გაიცა ბრძანება: მოიხსენითო... და... და... მოიხსნა ფრონტი“. ქაჯან, წადით, წადით!.. ანგელოზია თუ ეშმაკიო: ვინა ბრძანაო: სახელმწიფოს მეთაურიო, მთავარსარდალიო, ესაო, ისაო, ვინ იყო კიდევა, სხვა ვინა ბრძანებდა?.. „იყო ღალატი.. დრო მოვა... ითქმის...“ ელცინს უკვე უსაყვედურებდა: ეს რა გვიყავით, – მოგენდევით... ეს არის კაცობა?!. კაცობა მოჰკითხე!.. არა სჯეროდა რო მაინცა: ჩამოგდებული შევულმფრენი რუსებისაო?!. აელო კეტი, გაუჩორკნავი კეტი, გზას ძლივს მიიკვლევდა მთებსა და ტყეებში: ჩემი თვალიით უნდა ვნახოო. არცა სჯეროდა. ჩვენაო, ჩვენაო, – გაიკვირვებდა ბატონი ელცინი, ჩვენ მაგას ვიკადრებთოო. გრაჩოვი თუ შეცდა, არ ვაპატიებთოო, არაო, არაო, არავითარ შემთხვევაში. აი ნახავთო. ნახავდი უარესსა. ისიც უარესად იმუქრებოდა: გრაჩოვს დღეს დავაყრი, პასტუხოვსაც თან მივაყოლებო. გულში ქირქილებდა რაღა თქმა უნდა. ქირქილებდა. ქირქილებს. ფაფუ ხალხი. ისევ იგივე. ისევ იგიო. ფაფუ ხალხიო. თვალებს ახამხამებს. ის არა. ესა, – ბაადური: ფაფუ ხალხიო. იმასაც ეს უნდა. ამას არა, არა, არა, – ესაა, რო აძრწუნებს. ბრბო. ბრბოი. კორიანტელი. ბორიაყი. კაცნი თუ ნივთნი არეულნი ერთიმეორეში. არეული. ათქვეფილი. აჭრილი. გადარეული. გაგლესილი. ცალკე აღარავინა ის ერთიც აღარა, აგერ რო დასტოვა გენო ადამიას სახსოვარი. აღარა. გავიდა, გავიდა. მაინც შემოანათა ერთი წუთითა. ცოტას მაინც დაყოვნებულიყო. ემატა. ემრავლა წარმოსახვით მაინცა. ემრავლა, ემრავლა. ქცეულიყო ბრბოი ხალხადა. ისევა. ისევა. ხალხი – ერადა. ერი – სახელმწიფოდა. როგორმე. როგორმე. ეპოვნა ტანი, სახე თვისი, დაკარგული კვლავ აღედგინა. „იყო ღალატი“. ბრბო დგას. დგას. დგას. ირყევა. ირხევა. ბურანს შეიბერტყავს.

„კონსტიტუცია!..“ დრტყვინავს პარლამენტი.

„რა დროს კონსტიტუციაა?!“

„რა უდროესია?!. რას აკეთებს საკონსტიტუციო კომისია?!.“ შარზეა პარლამენტი. საკონსტიტუციო კომისიას ჰო სახელმწიფოს მეთაური თავმჯდომარეობს. ვერ მოიცლის. ვერც იცლის. სხდომებს ვერც ესწრება. თავს ვერ გაართმევენ უიმისოდაო. ჩვენ მზადა გვაქვს ჩვენი პროექტი, სრულყოფილი პროექტიო: ერთი ფრაქცია, მეორე ფრაქცია, მესამე ფრაქცია... მეათე... მეოცე... მოდი და ითვალე; ერთი პარტია, მეორე პარტია, მესამე პარტია... მეათე პარტია... მეასე პარტია... სათვალავს ვერ აუხვალ; არა

გაგრძელება მე-6 გვ.

# დიზაინი

## «თეთრი დათვი...»-დან

მეხუთე გვერდიდან

ჩვენი სჯობსო, არა ჩვენიო, არა ჩვენიო, უცილობლობენ თავგადაკლულნი. ყველას განვიხილავთ რიგრიგობითაო, – ეს სპიკერი ჰპირდება ყველასა. იბრძვიან რიგისთვისა. ღამეს თუ ათევენ, პურის რიგისა არ იყოს. ჭიაკოკონებს თუ შემოუსხდებიან. ისევ თუ ჭრიან ბუჩქებსა, ჩამოსჩეხენ ხეებსა, გამოჰგლეჯენ კარფანჯრებსა დაუმთავრებელი შენობებიდანა, ისევე, ისევე თუ რომ სადმე შემორჩენილა. რაღა თქმა უნდა. ჩაუდგებიან სათავეში ვეტერანები. არა ის ძველი ვეტერანები. არა, აღარა: ჩვენი პარტია უძველესია – 1988 წელს დავარსდითო. ჩვენია უძველესი – 1987 წელს დავარსდითო. ჩვენია, ჩვენი – 1978 წელს დავარსდითო, ჩვენ გადმოვყარეთ პროკლამაციები რუსთაველის თეატრში: ენას გვართმევენო. არა, – ჩვენაო. არა, – ჩვენაო. არა, ჩვენაო. ვის დაუჯერო?!. ვის ეკითხებიან, – ყველა სათავეშია, მიმდევარი აღარაო. ფაფუ, – აღარაო. რო არა სჯერათ ერთიმეორისაცაო. მხოლოდ ისღა დაუჯერებიათ: მთავრობის კომისია მზად არ იქნებაო. ძლივას მოსულან რო ერთ აზრზედა, ვერ უაზრიათ ისიცა სწორადა. მზადა ყოფილა. ამერიკელები დავისხითო. ჩვენი მეგობრებიო. იტალიელები. ჩვენი მეგობრებიო. ოოო, განსაკუთრებით იტალიელებიო. თავი ვერ აუღიათ კონსტიტუციიდანა. ქვეყანა აერევათ მალიმალა. კონსტიტუციასაც არემონტებენ მალიმალაო. ესენი, ესენი არიან, რაც არიან. თორემ ამერიკელები რაო: ერთი დეკლარაცია დაუდევიათ აგერ საუკუნეზე მეტია, დაუდვიათ და ასხედან, კონსტიტუციებს სხვებს უწერენო. მზადა ყოფილაო, –. სპიკერსაც უკვირს. განვიხილავთო, – სპიკერი ბრძანებს. სავარძელს ირგებს უფრო მარჯვედა. ტუჩებს იწუწნის უფრო ხშირადა. იწუწნის. ილოკავს. გაბუტულა ჰო თავმჯდომარეი პარლამენტისა, მეთაური სახელმწიფოსი: უზრდელ პარლამენტში ფეხს აღარ შევადგამო?.. აღარც შეუდგამს კარგახანია. პარლამენტიც ისევ ის არის, ისევ ის იქნება, რო არა ცვივა ზრდილობაი ციდანა, – არა, არა, არა ცვივაო. მეთაურიც არ გასტეხს სიტყვასა. ერთხელ რო?.. ის სხვა იყო: ისიც მწვანეებმა და „თბილისმა“ ინება სიამოვნებითა. საჭირო იქნება?.. კიდევ ისიამოვნებენ. და მიბრძანდება პარლამენტში სახელმწიფოს მეთაური და პარლამენტის საჭეს მიუჯდება მეთაური და ჩაიჩოჩებს სპიკერი და შერჩება გაბუშტული ტუჩები სპიკერსა და თვალებიც დარჩა ღიაო...

და დაჯდება მეთაური და დაიდებს წინა სამთავრობო კომისიის პროექტსა და ბრძანებს: დაილაგეთ თქვენც თქვენი წინაო. ყველამ ჩვენ ჩვენი ვთქვათო. ვიმსჯელოთ. ვიდავოთ. დღედაღამ ვიდავოთ. ავირჩიოთ, რასაც თქვენ ინებებთო. გაძლებას მიჰყარა. ვინც გაუძლებდა. წერეთელი თავიდანვე ჭიჭყინებს:

„21... 21-ის კონსტიტუცია!.. ჩვენ უკვე გვაქვს ჩვენი კონსტიტუცია!..“ ჭიჭყინებს. ჭიჭყინებს. ვერ აჩუმებენ.

მეთაური ამშვიდებს. თვითონ მშვიდადაა. ამშვიდებს მშვიდი:

„დიახ, ის არის საფუძველი. საფუძველთა საფუძველი: 21-ის კონსტიტუცია. ჩვენი პროექტი იმას მიჰყვება. რაღა თქმა უნდა!.. რაღა თქმა უნდა!..“ ამშვიდებს. აყურებს. იყურებს ყველა. ტრიბუნასთან რუსუდანია. სპიკერის მოადგილე ქალბატონი რუსუდანი. დამშვენებულა რუსუდანი. ისეც რა უჭირდაო. მაინც უფრო მომხიბლავად გამოიყურება. მუხლებსაცა კითხულობს მომხიბლავადა. სათითაოდა რაღა თქმა უნდა. საზეიმო დღეა. დასაწყისია დიდებული მოვლენისა: კონსტიტუცია უნდა მიიღონ. არეული ქვეყანა უნდა დაამგვანონ* სახელმწიფოსა. ეჰეჰეჰეიი, როდიმდელი სახელმწიფო უნდა აღადგინონ!.. რიღასთვის დაჰზოგავს ვაჟკაცი ძალღონესა, ანთუ რიღასთვის გადასდებს ქალი მშვენებასა?.. თან ერთი აზრიც წამოიჭრება იმ დადანებაზე. ისაა. ისა.

ჰო:

„დიზაინიც“ ჰო ცივილიზაციამ მოიტანა?..

„დიზაინი“ ყველგან. „დიზაინი“ ყველაფერში. არც რა არსებულა უსახოი არასოდესა. მაგრამ და რაო, – „დიზაინი“ რო ელერს უცხოდა, ააფოფინებს, აიტაცებს, ააცუნცრუკებს, აიტანს ისე, მიწაზე დგომა რო ეუხერხულება. „დიზაინი“. „დიზაინი“. „დიზაინი“. პარლამენტსაც უნდა „დიზაინიო“. დარბაზს არა, „იმელის“ დარბაზსა. რაც უნდა ყოფილიყო, ისევე დარჩებოდა. პარლამენტი ძველ ადგილას გადავიდოდა. იქ იზეიმებდა კონსტიტუციის მიღებასა, იქა, იქა, დეკემბერ-იანვარში რო გადაჰბუგეს, ადრინდელ სასახლეში დამხობილი მთავრობისა. გადაჰბუგეს. აღადგენდნენ. მოთავდებოდა იმ დროისათვისა. იქ იზეიმებდა. ის იჯდებოდა თავის „დიზაინში“. იხატებოდა. მშვენდებოდა. გვირისტდებოდა. თვით პარლამენტსაც მოუხდებოდა თავისი „დიზაინი“ აქაცა, იქაცა რაღა თქმა უნდა. ჯერ აქედანვე: სხდომა უნდა დამგვანებოდა სხდომასა, – დასხდებოდნენ თუ არა, დამშვენებულიყვნენ მაშინვე. მყისვე. სახე მიეღოთ ლაზათიანი, დარბაისული. ტელევიზიით გადაიცემოდა. უნდა ყოფილიყო შთამბეჭდავი, მოეხიბლა მაყურებელი სახიერად მაინცა, სიტყვები თუ არეოდათ, აზრები თუ ვერ დაელაგებინათ. სახიერად მაინცა. სახიერადა. ეს ჯერ საპარიკმახეროში გამოითქვა, ვაკის გამოჩენილ საპარიკმახეროში. მოთავე გამოდგა უფროსი პარიკმახერი. აჰყვნენ სხვანიცა რაღა თქმა უნდა. აჰყვნენ. აყივყივდნენ. გამოეხმაურა გაზეთები. რადიო. ტელევიზია. აცმუკდნენ გოგონა-ჟურნალისტები. აცმუკდნენ. აცანცარდნენ. ბუქნაზე გადავიდნენ. ბუქნი გამართეს ტელევიზიაშიცა. ჯერ ისევ გამოჩენილი პარიკმახერიო: ალაპარაკეს და ალაპარაკეს. გამოაფენინეს ნიმუშებიცა. თვითონვე დაუსკუპდებოდნენ. თვითონვე იმშვენებდნენ თავსა. ნიმუშები ნიმუშებადა. ლაპარაკი ლაპარაკადა. მოიხიბლნენ. გაჰკვირდნენ რო ლაპარაკობდა, გალობს თითქოსაო, თითქოს „დიზაინი“ ჩაედგა ხმაშიცაო. არა და ბევრი არაფერიო: რუსის ქალი ბრძანდებოდა. რუსი მეტყველებდა ქართულადა. გაჰკვირდნენ. გაოცდნენ. გაფითრდნენ ადამიანო, გაფითრდნენ კიდევაცა: რუსი მეტყველებდა ქართულადა. რუსი. რუსი. სხვათაგან არც ეს გაუკვირდებოდათ. რუსი. 200 წელიწადია ჩამოთესლებულიყვნენ საქართველოშია. მხოლოდ თბილისში 200000-ზე მეტი გაფუფუნებულიყო. 2-საც არ შეეწუხებინა თავი ქართულის სწავლითა. ამ 1-ს შეეწუხებინა. და ტიტინებდა და ტიკტიკებდა და დუდუნებდა და ზუზუნებდა ღუღუნებდა და ჭიკჭიკებდა და კუტკუტებდა და ჩქროლავდა: პარლამენტსაც უნდა „დიზაინიო“. აბა!.. ყველა ქალს ვიწვევთ. განსაკუთრებით: სარიშვილსა და შაკიაშვილსაო. ჩვენ იმათ ისე დავვარცხნით, რაც უნდა შეიშალნონ, რაც უნდა გამძვინვარდნენ, მშვენება მაინც არ მოაკლდებათო. ოღონდ დროზე მოგვაკითხონო. მერეც დროდადრო მოგვაკითხონო. „იარეთ ჩვენთან ქალბატონებო პარლამენტისა!..“ ოოოო... როგორ ღუღუნებდა, შეუნაცვლებდა უცებ რო ჭიკჭიკსა!.. „ჩვენთან დადიან რუსთაველის ლამაზმანები. გიგას გოგოები ჩვენთან დადიან. იარეთ ჩვენთან!.. იარეთ ჩვენთან!..“ რუსთველოლოგები შენიშნავენ: ლამაზმანები სხვა მნიშვნელობით გამოიყენება „ვეფხისტყაოსანშიო“. ნუ შენიშნავენ. ნუ დაავალებენ რუსთველოლოგობასა. ეყოფა, რაც იცის: ჩვენთან იარეთ. გაგალამაზებთო. მოუწონეს. აჰყვნენ. ინანეს კიდევაცა: რატომ არ ვიცოდით ასეთი რუსი, ბარემ პარლამენტში გაგვეყვანაო. ინანეს, ინანეს. ჩვენც თავს მოვიქებდით ჩვენი „ტოლერანტობითა“. ელცინსაც გავახარებდით, ჩერნომერდინსა თუ მიედინსაცაო, ჟირინოვსკისაცაო, ზიუგანოვსაცაო, ლებედსაცაო, სელეზნოვსაცაო, ჩუბაისსაცაო, რიბკინსაცაო, ანთუ ვიღას აღარაო, – გავახარებდით, გადავრევდით სიხარულითაო. ინანეს. ინანეს. თავიც ინუგეშეს: წინ არის მომავალი არჩევნები. თავში მაგას ჩავწერთ მმართველი პარტიის სიისაო. ინანეს. და. ინუგეშეს თავი. „დიზაინს“ მაშინვე მოეჭიდნენ. დაივარცხნენ ქალნი პარლამენტისანი. და იდგა ტრიბუნასთანა ქალბატონი რუსუდანი, დავარცხნილი საგანგებოდა და გადაეშალა სამთავრობო პროექტი კონსტიტუციისა და კითხულობდა და მიჰყვებოდა მუხლიდან მუხლსა და გადაჰხედავდა პარლამენტსა დამშვენებულსა, – გოგონებსა დავარცხნილთა, დაკულულებულთა და არა ეჭვობდა, – ჩვენ ჩვენსას გავიტანთ, წინ აღარაფერი აღარ დაგვიდგებაო. აღარა ეჭვობდა, მერეც აღარა, კამათში რო ჩაებმებოდა, რო იხვეწებოდა, ივედრებოდა, რო ბრაზობდა კიდევაცა. არა. არა. თავი მაინც ისე ეჭირა, არ ამეშალოს ვარცხნილობაო. ხელს გადაივლებდა მოწიწებითა. ანიშნებდა გოგოებსაცა, – ოჰ უკაცრავად: ქალბატონებსა!.. – თავი გახსოვდეთ, თავდავიწყებას ნუ მიეცემითო. შეუძახებდა კიდევაცა. არც მინიშნებაო, არც შეძახილიო, აღარა სჭრიდა აღარაფერი. აღარც ვინ ჰგავდა თავის თავსა, აღარც „დიზაინი“ „დიზაინსა“. მუხლი მუხლს მისდევდა, კარი კარს მისდევდა, მაინც ჯიუტად მიიწევდა წინა. მაინცა. მაინცა. ჯანდაბას „დიზაინი!“.. ჯანდაბას საგანგებო ვარცხნილობანიო. იჯდა მეთაური ვითომდა რო უშფოთველადა. ჰკეცავდა ფურცლებსა კმაყოფილი, კმაყოფილებასაც რო არ შეიმჩნევდა.

იწეწებოდა „დიზაინი“ დარბაზისაი, ანთუ უკეთ ითქვას, – „დიზაინი“ მსხდომარეთა: იწეწებოდა, იჩეჩებოდა, იბურდებოდა; ანთუ: რაღა მსხდომარეთაო, რო ველარც ისხდნენ, რო ველარც იდგნენ, რო ვერც მოესვენათ ერთ ადგილასა, აზრიც დაჰნეოდათ თუ გაჰქცეოდათ, მისდევდნენ და ვერც დასწეოდნენ.

ირინა ირინას აღარა ჰგავდა: აღარც დავარცხნილსა ახლებურადა, ძველსაც – აღარა. ლუიზა ლუიზას აღარა ჰგავდა. ისიც ისევე. თამრიკო სულაც უარჰყოფდა კონსტიტუციასა: დროს ნუ ვკარგავთო. ჯერ ამ დამშეულსა და არეულ ქვეყანას მივხედოთ, მერე ჩავუსხდეთ კონსტიტუციასაო.

ეთანხმებოდა წერეთელი ნახევრობითა: კონსტიტუცია გვაქვს. „21...“ დროს ვკარგავთო. ვერცა ჯდებოდა წერეთელი „დიზაინში“, ისედაც ვერა და ხტოდა კიდევაცა: ახტოდა, დახტოდა.

გვაქვსო, – ეთანხმებოდა ჰო მეთაურიცა წერეთელსა, – და კონსტიტუცია იმიტომაც გვინდა, დავაშოშმინოთ არეული ქვეყანა, გავაძღოთ და შევმოსოთ ხალხიო. ეთანხმებოდა. ეთანხმებოდა. არ აუხირდებოდა არც არავისა. დადგებოდა ჟამი საამისოდაცა. დადგებოდა. ჯერ კონსტიტუციაო. და იწეწებოდა თმები. იშლებოდა სახეები. ანთუ: ირეოდა ერთმანეთშია თმები და ნაწილნი სახისანი. სად თუ თვალები გამოაჭყეტდა, სად თუ ცხვირი გამოერღვებოდა, სად თუ ტუჩები გაიელვებდა. ამოივსებოდა პირი თმებითა. ბეწვებეწვად ამოჰქონდათ, ბეწვებეწვად იშორებდნენ. მერე. და. მერე. მერე. და. მერე: ყველა მუხლი რო ისევე გადიოდა. კომისიას როგორც რო წარმოედგინა, თითქმის ისევე. თითქმისა. თითქმისა. სიტყვებს თუ შესცვლიდნენ, წერტილ-მძიმესაცა, ამითიც თავს გამოიდებდნენ. მაშ „დიზაინი“ რაღად იშლებოდა?.. იკითხავ?.. კეთილი: იშლებოდაო, ხუმრობად ითქმის: ლამის რო ინგრეოდა დარბაზი, აცვივდებოდნენ რო მამაკაცებიცა, გრგვინავდნენ რო, მიიწევდნენ ერთიმეორეზედა, დარბაზიც ინგრეოდა და „იმელიც“ ინგრეოდა ერთიანადა, – „იმელი“ ჰო დანგრეულიყო, შენობაც მისდევდა თითქოს რო თანა კედლებიანსაძირკვლიანადა. ძირფესვიანადო ერთი სიტყვითა. ინგრეოდა. ინგრეოდა. ხმაური ისეთი გამოდიოდა, ზანზარი ისეთი, გუგუნი ისეთი, ანთუ უარესი: ჯერ გაუგონარი. „აააააარრრრააააა!..“ მოსკდებოდა რო ერთბაშადა ახალი მუხლის წაკითხვისთანავე. არაო და ნუუო, – აშოშმინებდა მეთაური, – ეს კომისიამ წარმოგიდგინათ, თქვენს მიერ არჩეულმა კომისიამა, თქვენ თქვენი ბრძანეთ, დავადგინოთ უკეთესიო. აშოშმინებდა. აწყნარებდა. შეჰღიმოდა მტკბარი ღიმილითა. შეჰღიმოდა. და ბრძანებდა ყველა თავისასა და შეიბმოდნენ ისე იმგვარადა, რო ზარზარებდა „იმელი“ ჰო, მთლად რუსთაველიც რო ზანზარებდა. რაღა დეკემბერ-იანვარიო, გეგონებოდა, მეორდებაო. გეგონებოდა. სძულდათ ერთმანეთი და უარჰყოფდნენ ერთიმეორესა, უარჰყოფდნენ გაშმაგებულნი. სძულდათ სახელმწიფოს მეთაური, ოღონდ ერთიმეორე უფრო სძულდათ და რო უარჰყოფდნენ ერთმანეთსა, ისევ მეთაურთან იყრიდნენ თავსა. ისევა. ისევაო: კენჭს უყრიდნენ და გადიოდა კომისიის მუხლები. გადიოდა. და. გადიოდა. და მშვიდდებოდა სახელმწიფოს მეთაური, მშვიდდებოდა და მშვიდდებოდა, აღარ იგონებდა სიმშვიდესა. აღარა. შეჰყურებდა: თითქოს მამლები ძიძგილობენო. იძიძგილონო. იძიძგილონო. ხოლო იქ იბრძვიან გაშმაგებულნი. იატაკიდან ლამის სავარძლები აღლიძობ. აღლიძობ. სტყორცნონ ერთიმეორესა. სტყორცნონ. ვაგლახ: დაბმულა სავარძლები იატაკზედა, გადაჰბმია ერთიმეორესა. ძალღონე არ შესწევთ ესეოდენი. ძალღონე თუ არა, სიჯიქე შესწევთ. უცილობლობს, ეითა ჯორიო. ყველა უცილობლობს თვალარეული, პირზე დუჟმოყრილი, ყველა უარჰყოფს ერთიმეორესა, ყველა ბოლოს იქვე გროვდება, სადაც რო შეჰყვირეს ერთობლივადა: „აააააარრრრრააააა!..“ იქვე. იქავე. და ხელს გადაავლებს რუსუდანი თმასა. არა. არა. რას გადაავლებს?.. მიმოატარებს შორიახლოსა. ჰოარ გავბუწულვარ. ჰოარ გავწეწილვარ მეცაო. არაო. არაო. მშვიდდება რუსუდანი.

„შემდეგი მუხლი!..“ ბრძანებს მეთაური, ჯერ იმას რო ბრძანებს: მიღებულიაო. წინა მუხლიო. რაღა თქმა უნდა. ბრძანებს და ისაა: ჩაქუჩი არა აქვს, რო დაატყაპუნოს. ხის ჩაქუჩი. ჩაქუჩს მერე შემოიღებენ, ჟვანიას დროსა. „ჩვენ თანდათან ვემსგავსებით ცივილიზებული ქვეყნის პარლამენტსა!..“ ჟვანია იტყვის. იტყვის და დასცხებს პირველ ჩაქუჩსა. ეს მერე. მერე. ჩაქუჩს თავისი გრდემლიც ექნება, – ნუ წარმოიდგენ სამჭედლოს გრდემლსა, – თავისი, შესაფერისი, ოღონდ რო დასცხებს, მერე რო დასცხებს, სავარაუდო სპიკერი რო დასცხებს, თითქოს ეს არი და კეფაში მოჰხვდება ამჟამინდელ სპიკერსაო. კეფაში. კეფაში. არც აქეთა და არც იქითაო. თითქოსაო. ეს აქ მართლაც დარეტიანდება. ველარ ეგუება თავის სავარძელსა. თითქოს წყალი ამოუვიდაო. თითქოს ნემსებს უყრიანო. ველარ ისვენებს. გადის. გამოდის. დარბაზშიც ჩაჯდება. ეთაკილება. უფრო მოუსვენრობს. უკან არ იხმობენ. ვინაო თუ არა მეთაურიო. ის ველარც ამჩნევს. ვერა. ველარა. ამჩნევს, ვინც უნდა, ვინც არა – ველარა. რას იზამ, თვალია. თვალი თვალია. ეზედმეტებათ მოადგილეებსაცა. დუდუნებს რუსუდანი: ახალი კარია, ახალი მუხლი,

გაგრძელება მე-7 გვ

მეექვსე გვერდიდან

დუდუნებს საამოდა, ხმითვე რო მოხიბლოს პარლამენტარები, რო აღარ ატყდნენ, აღარ წამოცვივდნენ. დუდუნებს. ქლურტულებს თავს არ შეარხევს. ბეწვს არ აიშლის. რაღა თქმა უნდა. რაღა თქმა უნდა. რა დამართნია ირინასა?.. ლუიზა?.. რომელი რომელია?!. ლანა?.. მანანა?.. ადა?.. თამრიკო?.. იზა?.. კაცთაგან აღარ გამოირჩევიან. კაცნი ჰო რაღა, - ველარც რას შეადარებ, მსგავსნი მიწაზე რო აღარა ბოგინობენ. წამოეგზნება ესეც რო დროდადრო. არაო. ფრთხილობს. „მოიცათ. გეხვეწებით!..“ ფრთხილობს. ახერხებს.. „კიდევ წავიკითხავ. ეგებ პირველად კარგად ვერ გამოვთქვი. მომისმინეთ, მომისმინეთ!..“ და უსმენენ და ყურდებიან, დაღლილან რო, სული რო ითქვამენ. „ვუყაროთ კენჭი?.. ჯერ რომელს ვუყაროთ?..“ კითხულობს მეთაური. „კომისიისასა, პარლამენტის კომისიისასა!..“ ვახტანგ II-ა. ყველას დაასწრებს. სული ძლივს ითქვამენ. და ითქვამენ ხელახალი შეჯახებისათვისა. იყოს. მაინც პარლამენტისაა. პარლამენტი თვითონა ჰქვიანთ. წინ კიდევ არის. გაიტანენ თავიანთსასა. გაიტანენ. „ჩემ ფეხებს გაიტანთ!..“ ვახტანგ II-ა. თავისთვისა ჩიფჩიფებს. ლოყები აბრაწვია კმაყოფილებითა. ვახტანგ I: რაო, - ეკითხება. ისევ სპიკერის სავარძელშია. არას მიუგებს ვახტანგ II. ჰო ვერ ამჩნევს მეთაურიცა. რუსუდანისთვის აღარც არსებობს. დარბაზშიც ვერ დარჩა. ვერავის მიეკედლა. არც ეკადრებოდა რაღა თქმა უნდა. და რჩება მარტო. ყრუა სოფელი. და ბერავს ლოყებსა და ბერავს და ბერავს. ზურნაღა უნდა. დუდუკი იყოს. დაუკრავს სევდიანსა: თავო ჩემო ბედი არ გიწერიაო. ესეც არაფერიო. ერთხელ ვინ არ წაიფორთხილებსო. მოაწევს ჟამი ამისი ისევა. მოაწევს. მოაწევს. და მალაყს იზამს ისე იმგვარსა, კვლავ კომუნისტებში რო აღმოჩნდება. არც აქეთაო, არც იქითაო: კვლავ კომუნისტებში. ძეშეცდომილი დაუბრუნდა აკვანსა თავისასა. ითქმის ბუდეცა. კერიაცა. აკვანი იყოს, ისევ რო არწევენ, შიგ რო თოჯინა უწვენიათ.

არწევენ.

არწევენ.

ვინთუ წლით იზრდებოდა, ის დღითაო. წამოუდგებათ გოლიათი. არწევენ. არწევენ. ეს მერე. მერე. არცთუ ბევრი წყალი რო ჩაივლის. მალაყს იზამს და გორში ამოჰყოფს თავსა. გორში. დასაყრდენი უკანასკნელში კომუნიზმისა. შენ ეგრე გეგონოსო, ვიეთნი იტყვიან. რაც უნდა იყოს: მიიღებენ დიდის პატივითა. დაასკუპებენ ირმის რქაზედა. დედამიწა უჯდათ ჰო?.. გადასვამენ დედამიწასა. ამას დასვამენ. კომუნიზმი უზით ირმის რქაზედა, უზით და უზით. დედამიწა გადაჯდა, ეს მაინც არ იშლის თავისასა. ჯიუტია. დაუთმობელი. გაუტეხელი. შეაფურთხე. თავმოყვარეობა არ გააჩნია. გაუჩეხე თავი: ამოსდის და ამოსდის გველები თავიდანა. მოსკოვს აშკარა ქსელებიც უნდა. დემოკრატია - ბრიყვი - ნებასა რთავს. ფარული თვითონ იცის. ნიუიორკიც აღუვსია ფარული ქსელებითა, პარიზი, ლონდონი, პეკინი, ტოკიო, სიდნეი, ოკლენდი, რომელიღა აღარა?.. თბილისი ჰო პირველად ულირს!.. გორი?.. საცოდავი გორი. იქით კრემლიო და აქეთ ძეგლიო. შუაში კოზაკი გამოჭყლეტილა. მალაყს იზამსო. მარგიანიც იზამს მალაყსა. სხვებიცა, სხვანიცა. ბრუნდებიან აკვანში კომუნიზმისა, ვინც ვერ გაუმართლებს სახელმწიფოს მეთაურსა. ბრუნდებიან. ბრუნდებიან. გამოშუშება დაჰკლებიათ. ნანინა დაჰკლებიათ. შიბაქი ასცდენიათ. გალუმპულან. ერთი ჯულაანთგანიც მობრუნებულა. პაპამ ჰო გადაჰხნა საქართველო წალმა-უკულმა, ეს შვილიშვილი მთლად აღმოფხვრის ძირფესვიანადაო. თუ მიუშვეს. თუ დააცადეს რაღა თქმა უნდა. დააცდიან. დემოკრატია. ეს მერე. მერე. დევნილნი სხვანიც დაირაზმებიან ჩვენთან ერთადაო, - პანტელეიმონი განაცხადებს. მერე და მერე. გოგუაძეც რო იტყვის: წითლებთან ყოფნა მირჩევნიან ცისფერებთან ყოფნა-

# დიზაინი

## «თეთრი დათვი...»-დან



საო. ვითომა ვხუმრობო. გურული ვარ. შემეფერებაო. გორი მაინც რა შუაშია, საცოდავი გორი. ძეგლიც დაუტოვეს. ნამუსრევსაც იქ აყრიან. ლექსებსაც უთხზავენ. ჰო არც იქნება კომუნიზმი ულექსებოდაო. უთხზავენ: „პანტელეიმონ გიორგაძე იფურჩქნება გორის გზაზე“. მოკლეა. სხარტია. „მოდერნია“. ნიმუშია. საუკეთესო ნიმუში. უთუოდ შევა ანთოლოგიაში „რეაქტიული პოეზიისა“-ო. უთუოდაო. უსათუოდაო. იქვე ჩაბეჭდავენ, სადაც უბეჭდიათ: „ათას გიგას და ას ლანას მე მირჩევნიან ასლანა“. იქვე. იქავე. ურთიერთს არ დააშორებენ ესოდენ კლასიკურ ნიმუშებსაო. და თანაც: ეს ვითომ შევარდნაძეს უთქვამსო, დაძაბულობას რო აბრალებენ აბაშიძესთანა. ვითომ. ვითომო. პოლიტიკოსობენ „რეაქტიულებიცა“. ყველა პოლიტიკოსობს. საუკუნეა პოლიტიკისა. თავდება საუკუნე. პოლიტიკას რა მოათავებს?!. ეს მერე. მერე. ცხოვრება არა ჩქარობს. დიის მდორედა. რო აღელდება, მაშინაც მდორედაო. მე მეჩქარება. მე ბევრი აღარ დამრჩენია. უნდა ამოვიგო დრო დაკარგული. დაკარგული დრო. დაკარგული. ველარც მოვასწრებ რაღა თქმა უნდა. ვცდილობ მაინცა. ცდა ბედის მონახევრეაო. მოვიშველიებ ანდაზებსა. მოვიშველიებ იმედსაცა. მაცდურსა. გაუტანელსა. გაუცურებია ყველაი ამქვეყნადა, მე ვითომ რა წითელი კვერცხი ვარ!.. თუმცა ჯერ მაინც ისევ იქა ვარ: რო იკეცება მუხლი მუხლზედა, ფურცელი ფურცელზედა. იკეცება არცთუ ადვილადა რაღა თქმა უნდა. „დიზაინი“ არეულა. შეშლილა. იტყვი: გაიხარებენ პარიკმახერებიო: მალე გაიწეწებიან, მალეც მოგვაკითხავენო. მოტყუვდები. აღარ მიაკითხავენ. აღარა. ეგრევე მიდიან. ეგრევე სხდებიან. იწეწენ, იბდღვნიან უარესადა. ანთუ: ეგებ რო ივარცხნიან კიდევ უფრო გულმოდგინედა, - ჰოლივუდის მიხედვითაცა, - ოღონდ გზაშივე იწეწებიან, რო წარმოიდგენენ იქ თუ რა ელით, ვინ თუ რას იტყვის, ვის თუ როგორ შეებმებიან, - შესაძლო არის. წარმოსახვანი ჰო უფრო ძლიერია ზოგთათვისა, უფრო აღმგზნები, ვიდრე სინამდვილე, ვიდრე შედეგი სინამდვილისა?.. არის და რას იზამ?!..

და მაინც:

ისევ:

მუხლი მუხლზედა, ფურცელი ფურცელზედაო.

დიდი ბრძოლითა, ფანდითა, ხერხითა, ცურვითა. სხმარტალითა მრავალითა. უმთავრესი მაინც ის გახლდა: სიმშვიდეი და მოსმენაი ყოველი გამოსვლისა სახელმწიფოს მეთაურის მხრითა. მიაყურადებდა, მიაჩერდებოდა თითქოს ესაა და მარგალიტები სცვივათ პირიდანაო. გაამეორებინებდა, უკეთ გავიგოთო. აბდაუბდაც რო ყოფილიყო, გაამეორებინებდა, აბდაუბდას უფრო გაამეორებინებდა. „ალტერნატივა!..“ „ალტერნატიული!..“ წამოვიდოდა ნიაღვარივითა. და ფლეთდნენ და გლეჯდნენ და ჯაბა სეირობდა. არ გაყოფილიყო. სეირნობდა შინაგანადაცა. გარეგნულადაცა. სეირობდა, ლაღობდა, ცმუკავდა თითქოსა, მუსკომედიაა თუ პარლამენტიო. წინა რიგში იჯდა. შებრუნებულიყო. ეგრე აჰყურებდა აკოკლავებულ დარბაზსა თუ სცენასაო, აკოკოლავებულსა, წამოზიდულსა, თითქოს თავზე დაემხობაო. ვაი, ვაიო, - იცინოდა, ხელებს შეუშვერდა, შევაჩერებო. ერთობოდა. ერთობოდა. გადღაბნულიყო გრიმი. არეულიყო ნიღბები. გაწეწილიყო ვარცხნილობანი. თითქოს წესრიგიც ჰო შემოჰყვათ პირველადა, მაგრამ და რაო, - მალე აირივნენ, მალე დაემგვანენ, რასაც რო ჰგავდნენ: ალქაჯებსა. დაემგვანენ. და ერთობოდა და იცინოდა, ხარხარიც აუტყდებოდა ჯაბასამეთქი, არა?.. დიახ. დიახ. ერჩივნა მჯდარიყო სპიკერატშია. იქიდან უკეთ გამოჩნდებოდა. თავმჯდომარის სავარძელში მჯდარიყო ერჩივნა. მაინც ახლოს იყო. ფეხიც მისცურავდა. აიზიდებოდა წელიცა. რიხიც მოსდევდა ისე იმდაგვარი: თითქოს ეს იქ არის, ისა ზის აქაო. მაინც იქვე იყო. იქვე ბრძანდებოდა. ერჩივნა ასე რომ შეხუმრებულიყო. ერჩივნა იმ მოღუშულ სახესა, ჩაქუფრულ თვალებსა, დამძიმებულ თავსა. ერჩივნა. ერჩივნა. ანთუ ვინ უწყის თუ რა ერჩივნა. ხალისობსო, - გარეგნობა ამას გეტყოდა. ამოსცდებოდა ღიღინიცა. შორეული ღიღინი. ალბათ პირველთქმა ქართველი კაცისა. ღიღინი იგი ჩამრჩენია გულსო. ამოსცდებოდა. არც გაისმოდა: რო ბუხუნებდნენ მამაკაცები, რო წიოდნენ დედაკაცები. ნუ გაისმოდა. გადასულიყვნენ მუხლიდან მუხლზედა. გადაეწვინათ ფურცელი ფურცელზედა. მერე რაღაო: სამხარეო მოწყობას რო მიადგებოდნენ?.. აქეთ ცხინვალიო, იქით სოხუმიო, რას აპირებთო, მამა გიცხონდებათ, კრემლი მოგაწყობინებთ თქვენს ნებაზედაო. პაპაც გიცხონდებათ, პაპის პაპაცაო. თქვენ ეტყვით: ქალალდზეო. „ვის აჭევთ?! ვისა?!!!“. ქალალდზედაც არ მოგაწყობინებენო. და ელოდა და იღიმოდა და ღიღინებდა.

„ჯერ...“ იქ ზევით თუ ბოლოში, სულ ბოლოში აწივლდება ისევ თამრიკოი. ჭავჭავაძელები იქ მიკუნტულან. გამოიშლებიან. მიკუნტავენ.

„მოიცა გოგო!..“ შეუძახებს ეს აქედანა: ჯაბაი - რა თქმა უნდა. შეუძახებს. წყრება: როგორ ვერ მიმხვდარა, ცოტაცა, თვითონვე წაიმტვრევენ ცხვირპირსაო. აგერ სპიკერი ჰო მოუჯდა გვერდითა. მიიხედება. ამდგარა. ისევ თავის სავარძელს ისწორებს. გაისწოროს. გაისწოროს. ეგონოს. ეგონოთ. ჯერ იქ მივიდნენ. მივიდნენ მისასვლელსა. ფურცლონ და მივიდნენ. სწიონ ხელები და მივიდნენ. შემოჰკრან ტაშიცა და მივიდნენ. ტაშს ჰო მაინც ვერ შელევიან, - უტაშონ. იტაშონ, როგორც რო ერთხელ აპოლონიო. ეს ფუნაგორიელების ანთოლოგიიდანა რაღა თქმა უნდა. აი და აჰაა!.. აი და აჰა!.. მივლენ და ის არის. მივიდნენ და ესაა: „ახლა რას აპირებთ?!“ გაიჯგიმება ჯაბაი, „აბა ერთი რა ქვეყანა გაქვთ და როგორ აპირებთ ამ დაგლეჯილი ქვეყნის მოწყობასა?!. თქვენ გაჩერდით!..“ შეუტევს პარლამენტსა. მეთაურს მიმართავს. პირისპირ წამდგარა. თითქოს დუელია. ესროლა. ახლა თვითონ მიუშვერია შუბლიო.

„ღიად დავტოვებთ ამ კარსა“, ამბობს სახელმწიფოს მეთაური. მტკიცედა. ბეჯითადა. შეუვალადა. „მოვაგვარებთ ცხინვალისა და სოხუმის ამბებსა. აღვადგენთ ქვეყნის ერთიანობასა. მერე ამ კარსაც მივუბრუნდებით“.

„ღიადა სტოვებთ?!.“ ჯაბა შეიცხადებს. მეთაურს შესძახებს. მიუბრუნდება პარლამენტსა. მერე ისევ მეთაურსა. ისევ პარლამენტსა. მიუბრუნდება. მოუბრუნდება. „კარღია ქვეყანა და კარღია კონსტიტუცია ვის გაუგონია, სადა თქმულა?!.“ მორჩა. მოვუთავე. მე აქ ვიდექი და აქ ველოდიო. ზეიმობს ჯაბაი. ცეკვავს ლამისა. სიცილით ჰო იცინის. იცინის. გაივლის. გამოივლის. იფხორება. იჭიმება. დასცინის დარბაზსა აკოკლავებულსა, აცმუკებულსა აქამდისა, ჩაიფუკება რო ერთბაშადა. „დიზაინი“ ჰო მოეშალა, გზნებაც მოეშალა ერთის მოქნევითა. დასცინის. ნიშნს უგებს. ოლოლო თქვენა, ოლოლო თქვენს კონსტიტუციასაო.

„ჩვენ ვიტყვით თუ არსადა თქმულა“. სახელმწიფოს მეთაური აცხადებს ისევ ისევე ბეჯითადა, დარწმუნებითა, დამარწმუნებლადა: „ჩვენ ამაზე დიდხანს ვიფიქრეთ. ვეთათბირეთ ჩვენს უცხოელ მრჩევლებსა. იმათ ეს უცნაურად არ მიაჩნიათ. მთავარია აღდგეს ქვეყნის ერთიანობა. ეს არის მთავარი. მუხლების ჩაწერა რაღა საძნელოა. აი პარლამენტ[illegible] და აგერა კონსტიტუცია. ეს ჩვენი საქ[illegible] თქვენი საქმეა. როგორც თქვენ იტყვ[illegible]. პარლამენტს მიმართავს. პარლამენტს აქეზებს. და აიზიდება პარლამენტიცა. აიფხორება. აიფოფრება:

„ჩვენი საქმეა!..“ ჰკიჟინებს აფოფრილი. ამაყობს აფოფრილი. წააქეზე და კლდეზე მიუშვიო, თუნდ ზღვას მიეცი ქარიშხლიანსაო. ეს მაინც გატანილია წამით შესაძლოა მოისვენოს კიდევაც მეთაურმა რაღა თქმა უნდა, - წამი[illegible] წამითა, მოუშვას ქუთუთონი, დამძი[illegible] ბული ქუთუთონი, წამითა, თორემ [illegible] ვინ დააცდის. დაძაბულა. ლამის გ[illegible] გახეთქვას არის, ტვინი - ადუღე[illegible] მოთმინება ძაფზე ჰკიდია, მაგრამ ა[illegible] არ ეტყობა ეს არაფერი, არც უნ[illegible] შეეტყოს. არა. არა. დაიფიცა არ ავჰყვებიო. იგინონ რამდენიც უნდოდეთ. წაიბილწონ ენა-პირიო. დაიფიცა. მოთოკა თავი. ზის მოთოკილი. მოთოკილი სიტყვებით მიუგებს. ცივი. ურყევი. შეუვალი. ერთი

გაგრძელება მე-8 გვ

# დიზაინი

## «თეთრი დათვი...»-დან

მეშვიდე გვერდიდან

ეს კონსტიტუცია მიიღონ. გავიდნენ. გააღწიონ ბოლომდისა. სად წაუვლენ.

„ვერ მიიღებთ!..“ მოუჭრის ჯაბაიო. „კარლია ქვეყანას ვერცა მართავთ კარლია კონსტიტუციითა!..“ მოუჭრის. დაიჯერებს. მშვიდდება. არხეინობს. გადის. გამოდის. ისევ დაერევიან ერთმანეთსა. აირევიან. აითქვიფებიან. წამის თანხმობაც უთანხმოებაა ამათი. სასაცილონიც არიან, სატირალნიცა, გამოსატირებელნიცა. გაერთობი თუ არას განიცდი თუ დამშვიდებულხარ თუ გჯერა საწადელს ვერ მიაღწევენო თუ შენც ეს გინდა რაღა თქმა უნდა. მაგრამ და რაო, – მიაღწევენ ბოლოსდაბოლოსა. მიიღებენ დანარჩენ მუხლებსაცა. თავთავიანთსას რო იცავენ თავგადაკლულნი, ბოლოს მაინც ფარხმალსა ჰყრიან. ქალბატონის მუხლებთანა ჰყრიან. ჰყრიან. ხელისმოწერას მაინც ვერ მოესწრებითო, ქირქილებს ჯაბაი. ზეიმს მაინც ვერ მოესწრებითო. ქირქილებს. ქირქილებს. და ჰქუხს წერეთელი, რაღა ცაიო და რაღა წერეთელიო, ჰქუხს, ჰქუხს, მიხვდება რო: ორადორი სიტყვა როღა გადარჩენილა „21-ის“ კონსტიტუციიდანა, ორადორი: საქართველო და კონსტიტუცია. ხავისლა მერე: „ჩაწერეთ ოკუპაცია... ჩაწერეთ ანექსია... გაიყვანეთ რუსის ჯარი საქართველოდანა!.. გაიყვანეთ!.. გაიყვანეთ!..“ ხავის. ხავის. ვინ არის გამყვანი?! უნდა გვიშველონ ჩვენი ჯარის მომზადებაო. მიდი და ირწმუნე. გაგონილაღა: მტერი მტრის ჯარს აიარაღებდეს?!. თუ გაგონილა, ესეც დაიჯერე. ცდასაც არ აკლებენ: სტრატეგიული მოკავშირენი ვართო, შენ იყვირე, იჩხავლე, იღრიალე რამდენიც გენებოს. დიდი ხელშეკრულება გვავალდებულებსო. თუმცა არც ამტკიცებს დუმაი იმათი, ჩვენც ფეხს ვითრევთ, მაგრამ ვალდებულება მაინც ვალდებულებაა, მოქმედებაც მოქმედებაო, ჩვენ პატიოსნად ვიცავთ პირობებსა ჩვენსა, ველით, ისინიც შეასრულებენო. ელოდეთო, – იკიუინე რამდენიც გენებოს. ელოდებიან. ელოდებიან. იწეწებიან. ქალები ჰო, – ქოჩრიანი მამაკაცებიცა. პრიალებს მელოტი. კრიალებს მელოტი გაწეწილ თმებშია. ამოაშუქებს თითქოსაო. გეწევა: ერთი ჩაუტყაპუნო, დასვა ისე, ველარ ადგესო, ანთუ უბრალოდა, – რო გაერთო. რო ვერ გააღწევ გაწეწილ თმებში, – ჯუნგლებს გააღწევ, ამ აწეწილობას ვერა. დინჯად. დინჯად. დაწყებაც ძნელია, დაბოლოებაცა. ანთუ: დაბოლოება უფრო ძნელია. ფრთხილად. მშვიდად. აუღელვებლად. ყველას მიეზღვის მისაზღვეველი. მოაწევს ჟამი. „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“. თუ მპყრობელიო?.. სულერთია?.. დარეკავს ჟამი. „ნაპოლეონმა გადმოავლო თვალი ფრანციას“. აღარც ფრანციის დაშოშმინება აღარა სჯეროდა აღარავისა. დაშოშმინდა. დაცხრა. დაცხრება ყველაო. შენცაო. ყველაო. ბრბოც დაცხრებაო. და მერე რაო, – ბრბოი დამცხრალიც უბედურებააო. ეს უკვე ხრწნაა. უბედურებაა. უბედურებაო. სჯობს რო ბობოქრობდეს, იყოს, რაც იქნება, ოღონდ როგორმე დააღწიოს თავი თავის თავსა, საკუთარ თავსა, – თავს გამოექცეს, იქმნას რო ხალხადა. ვერ მოხერხებულა ისე ადვილადა. ხალხი ერთ წამში იქცევა ბრბოდა, ბრბო ხალხად ვინ უწყის თუ როდის იქცევა. როდისა?.. როგორა?.. რა მანქანებითა?.. აქედან იქით ზღვარი მცირეა, ბეწვისოდენაო, იქიდან აქეთ – განუსაზღვრელიო. ესეც ერთი უცნაურობა ამ დახლართული წუთისოფლისა, ერთი მრავალთაგანი; ვერ მოერევი რო თუნდ ერთსაცა, თვალს ველარც გაუსწორებ დანარჩენსა. ვერა. ველარა. გაუსწორებ და გაუსწორე. მოგჭრის. მაღალია თვალი.

„დაფიქრებაც არ უნდა...“ იტყვის უშანგი, თვალს მოჰკრავს თუ არა პისტოლეტსა. ის იქავეა, სადაც რო დასტოვეს: საწერ მაგიდაზე თვალსაჩინოდა.

„ჰოოო...“ მიჰხვდება ბაადური. „გენო ადამიას სახსოვარია. იმ დღეებისაა. საწყალი!.. ვაჟკაცურად გამოიყურებოდა, მაინც განწირულობა ეწერა სახეზედა. წადიო, მირჩევდა. შენ რაღას უცდიმეთქი. არსად მე არ წამესვლებაო. ალბათა გრძნობდა, რაც რო ეწერა... რამდენჯერ ვინანე, ძალა მაინც დამეტანებინამეთქი. ინანე რამდენიც გინდა!.. რას გააწყობ ბედისწერასთანა?!. მოთქმით ტირილიღა გვრჩება ნუგეშადა: ბრალია შენი სიკვდილი, შენი სიკვდილი ბრალიაო...“

არ ასდევს უშანგი:

„მოგიგდეს?..“

„არა, რას ამბობ?!.“ ითაკილებს ბაადური. „სიტყვის კაცი ახლა ისე იშვიათია!.. მე შემხვდა სიტყვის კაცი: დაგიბრუნებო, დამპირდა და დამიბრუნა. არა. არა. ღმერთმა ნუ ჰქნას, ისე გადაგვარდეს ქვეყანაი, ერთი სიტყვის პატრონიც რო აღარ გადარჩეს. ნუ!.. ნუ!.. ღმერთმა ნუ ჰქნას!..“

„ეგ შენი აპილპილება შენთვის შეინახე“, იღიმის უშანგი: „ამას მე წავიღებ. სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო“. აიღებს. ჯიბეში იტენის პისტოლეტსა. „მეც დაგიბრუნებ რაღა თქმა უნდა, ოღონდ უდროუდროოდ არ დაგიბრუნებ“. კარს მიასწორებს. შემობრუნდება: „შენც უნდა წამოხვიდე!.. სხვას მოგიგდებენ. სადმე უნდა შეაფარო თავი. უსათუოდა. უსიკვდილოდა!..“

„მაგრამ... რო მიბრძანეს, ქალაქიდან არ გახვიდეო?!.“ ურჩობას აპირებს ბაადური.

„სწორედ მაგიტომ უნდა გახვიდე“. იცინის უშანგი. მწარედ იცინის და აღარც უსმენს, აღარას აცდის. მოვემზადებიო. აღარ აცდის. აჩქარებს. მიჰყავს. მიაქროლებს რო თავისთანა: აღარც ეს დაუჯდება ჭკუაშია. მანქანას შეაბრუნებს, თითქოს აყალყავსო და ისე შეაბრუნებს; ისე შეაბრუნებს და ისე გადავარდება ქალაქიდანა, თითქოს ფეხდაფეხ მიჰყვებიან სწრაფი რეაგირების რაზმებიო. ისე. ისე. თითქოს მისდევენ და თითქოს კიდევაც ეწევიანო. აი და აჰაა: სწვდებიან კიდევაცა ქეჩოშია, სწვდებიან და გადმოითრევენო, – ისე გავარდება. გავარდება და მიჰქრის. მიჰქრის და თან მიაქვს არემარეცაო, თითქოსაო რაღა თქმა უნდა. მთლად არემარე თუ გაზვიადებაა, – არაგვიანი მაინც თან მიაქვსო. არც უფიქრია თუ საით წასულიყო, თითქოს თვითონვე წარიტაცა მანქანამაო. როცა რო დაფიქრდა: რა გზას ვეწიოო, – უკვე ჟინვალში ამოეყო თავი. „გასწი, გაფრინდი ჩემო მერანო!“ ამასღა დაატანს და აღმართებამდე კიდევ უფრო მიუშვებს გაზსა. მერე აღმართები თავისას მოჰგვრიდა. არც ეს მოაკლებდა ცდასა. ბაადური მინებებია. მერანი იყოს, თუნდაც თანამგზავრიო. იქროლოს. იქროლოს. მინებებია. თავისას მოუცავს. სახე იგი გამოჰყოლია: სახე ყოვლისა ტანისა. ტანი ყოველი. სახე ყოვლისა. სახეი ყოველი. მოუცავს. ხიდი. სტანდარტები. ინტეგრაცია. დერეფანი. მიჰქრის. მიჰქრის. უჯობს შეჩერდეს. უნდა მოეჭიდოს. ანთუ რასაო, ანთუ როგორაო, – საჭე სხვის ხელთაა. უშანგის ხელთაა. „უშანგი!..“ არც ესმის. სხვა რამ გუგუნია. სხვა რამ ძრავა. სხვა რამ საწევაი. მიჰქრის. მიგელავს. აწყვეტილა. არც სადგური აქვს, არც დასასრული. რაღა დაგრჩენია, – შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა!.. სურვილი დიდი. მარადიული სურვილია. აღუსრულებელი სამარადისოდა. უშანგიც აღარა ჰგავს უშანგისა. სადღაც ბენზინს ჩაამატებინებს უშანგი და თითქოს აქ არცაო: დედამიწაზე არა, სადღაც სხვაგანაო, სხვა პლანეტაზედა, ბენზინსაც არაო, რაღა სხვა საწვავს ჩაასხმევინებსო. პლანეტაც ეგებ რო მოღანდებაა, თანამგზავრია ეგება ისიცა. უსასრულობა გამოტენილა თანამგზავრებითა. ყველა მოსწყვეტია დედამიწასა. ან თუ: დედამიწა უკვე დანთქმულა ერთბაშადა და ერთპირიანადა. ბოლოსდაბოლოს ჰო უნდა დაინთქას, რაღას უცდისო?.. არაო. არა!.. მოსჩანს ფერდობები ამწვანებული. გაახილე, გაახილე თვალი. გადაიბერტყე ბურუსი თვალთაგანა. ფერდობები ამწვანებული. ფერები ქათქათა. შავი კლდეები. ეგერ ყინულით ნაკვეთი თავი. სალამურის ხმაც გაიგონება, ხრავის გუგუნი რომ მისწყდებოდეს. გაიგონება. ეს ისევ მიწაა. დედამიწაა. ლივლივებს ფერდობები, აქაფებული ცხვრის ფარები დაუდის ზედა. მიწაა. ცხოვრებაა. ყაზბეგია.

მათიაუ!..

აგერ, აგერა: მათია და დათვი რო შეიბნენ, იმასა ჰგავს, იმა ადგილსა. აქ ყველგან ის არის, ის ადგილია, დათვთან ჭიდილია ყველგანა. რაღა ტარიელი და ვეფხიო, რაღა მოყმე და ვეფხვიო, რაღა მათია და დათვიო!.. მაინც ისა სჯობდა, ვეფხი სჯობდაო. იყო სილამაზე, იყო სისხარტე, იყო ვაჟკაცობა. დარჩა უხეშობა, სიმუხთლე, სიმყრალე, სიმახინჯე. იქ სიკვდილიც არად გიღირდა, აქ სიცოცხლე მოგძულებია. ნინო მასწავლებელი „თეთრს“ უმატებს: თეთრი დათვიო. უმატებს და ამტკიცებს: ცენზურამ ამოშალაო. ვარიანტებში უნდა გადარჩენილიყოსო, – არ უთმობენ გათამამებული ბავშვები. ადვილად არ უთმობენ. არც მასწავლებელი უთმობს ცხადია: ვარიანტები სადღა მოვძებნოთო. მე თქვენ გეტყვით და დალაგებული ცხოვრება ჰქონდა ალექსანდრე ყაზბეგსაო. აბა თუ ვინმემ ბეჯითად იცის, სად აღამებდა და სად ათენებდა ის უბედურიო. უბედურიო. გორკიო: თუ სად დაცუცქებულა თუ სად აცუცქებულა, ყველა აღუნიშნავთ, დაფები მიუკრავთ, ყაზბეგი ვითომც არც ჩამოსულიყოს თბილისშიო. ვიღა კითხულობს ყაზბეგსაო, – იმეორებენ ბავშვები, გაუგონიათ, იმეორებენ. არც გორკისაო, – შეახსენებს, ვისაც ესეც გაუგონია. ჯანდაბას გორკიო, – ცხარობს მასწავლებელი, – ჯანდაბასა და დოზანასაო; იმისმა პატრონებმა იცენ თავშიო, ხოლო ყაზბეგს თუ კარგად არ დაისწავლით, მე აღარ შემოვალ თქვენთანაო. ბავშვები იცინიან. გაფიცვა გრძელდება მასწავლებლებისა: შტრეიკბრეხერობას დასწამებენო. ის მაინც არ იშლის თავისასა: თუ აღარც ბარათაშვილსა კითხულობენ, ორბელიანებსაც აღარა, ვაი ჩვენი ბრალიცაო. აქ არიან ისინი. ამ გზაზე ღვრიდნენ ცრემლსა ისინიცა, ყაზბეგისა არ იყოს. ღვრიდნენ. ღვრიდნენ. გზაზე დაპყრობისა. გზაზე ღალატისა. გზაზე თავგანწირვისა. აქ გათამაშდა ყველაფერი. აქ წააგო თავი ქართველმა. სისხლით მორწყულა ყოველი მტკაველი. სადაც ბარს დაჰკრავ, სისხლი ამოსჩქეფს. კიდევ რო მაინც შემორჩენილან?.. მიდიან. მოდიან. გადმომდგარან. ირჯებიან. თითქოს ისინია. დახოცილან. და. წამომდგარანო. რა დამართნია უშანგისა: რად არ შეაჩერებს, რად არ გადავლენ, რად არ გამოელაპარაკებიან. ძველს იტყვიან. იტყვიან თუ როგორ გადარჩნენ, იგივე დღე რო დაგვთენებია, იმავე გზაზე რო ვდგევართ, გზაზე უბედურებისა. „უშანგი!..“ არ ესმის უშანგისა. „უშანგი!.. უშანგი!..“ არ ესმის, არა. გააგონებს როგორც იქნება: „მოიცა უშანგი!..“ უარობს უშანგი: „რა დროს მოცდაა?!.“ მიჰქრის. მიჰქრის. თითქოს უნდა რო დაავიწყოს ყველაფერი. გადაატაროს ბედის სამძლვარი. ისიც დაავიწყოს: თუ როგორა შლიდნენ რუსები ყაზბეგსა ყაზბეგის რომანებში, რუსულ გამოცემებშიცა შლიდნენ, ქართულ გამოცემებშიცა შლიდნენ. ის ყაზბეგი მართლაც არ წაიკითხებოდა. მაგრამ არაო, – მართალი ყაზბეგიც აღარ უნდათო, გალაკტიონიც აღარაო. პროვინცია. გაიმეტებენ ილიასაცა. პროვინცია. ყვარლის მთები. პროვინცია. პროვინციული ნაციონალიზმი. პროვინციული დემოკრატიზმი. პროვინციული ლიბერალიზმი. დამოუკიდებლობა, – პროვინციალიზმი. ზნეობა, – პროვინციალიზმი. ძირს ზნეობა. ძირს პიროვნული შეზღუდულობა. ინტეგრაცია. ცივილიზაცია. ფსიქოანალიზი. სექსი. პიროვნების თავისუფლება. სრული თავისუფლება. ახ, მოსკოვი!.. „მპწ!.. მპწ!..“ კინოფესტივალები. „მოგვენატრეთ!..“ თეატრალური ფესტივალები. გასტროლები: „მპწ!..“ „მპწ!..“ მოგვენატრეთ. ფიქრის გორა. ნოსტალგია. „მპწ!.. „მპწ!..“ აღდგეს კავშირები. დერეფანი. აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ჯვარი. ჯვარს აცვ ეგე!- რაღა აცვ, – აცვია და ეგ არის. მიჰქრის. მიჰქრის. უნდა გაიტაცოს. უნდა იხსნას გიორგაძის ბრჭყალებიდანაცა, ამ ქაოსიდანაც იხსნას. უნდა. უნდა. ვერაო. ვერ უხსნია. ზეკაცობრიული უბედურება. ქაოსი. ბრბო. ხალხი ველარ გამოირჩევა. ველარცა ერი. იღუპება ქვეყნიერება. მიჰქრის. უშანგი მიჰქრის. მართლაც გადავა ბედის სამძლვარსა. ვერა. არც ეგრე ადვილი ყოფილა. შევარდებიან ხევის სოფელში. პატარა სოფელში. კედლები ჭაჭისა. შუკები ვიწრო. შუკებიც ჭაჭისა. შენობებიცა. პატარა შენობები. ჩარიგებულნი. ჩრდილში მოხუცები ჩამსხდარან. ჭაჭზე სხედან. ჭაჭს აყუდიან. ფეხები წინ წამოუშვერიათ. მანქანა ფრთხილობს. ისინი ჰო ფეხებს შეკეცავენ?.. მანქანა ფრთხილობს: აქეთ ამათ ფეხებს მორიდებია, იქით – თვითონვე რო არ გაიფხრიწოს. ფრთხილობს. გააღწევს. დაბალ კართანაა, ვიწრო კართანა. შიოლას ციხე დაჰყუდებია. სოფელი შეჰყუჟია შიოლას ციხესა. ოდესღაც ის იყო მფარველი სოფლისაი, – აწ უქმ, – ვახუშტისა არ იყოს. მაინც მფარველი. მაინც ამაყად გადმომზირალი. ნანგრევიც ამაყი.

„იორამ!..“ იძახის უშანგი. თან კარს მიაწვება. იღება კარი. პატარა რქები ციკნისაი და ბრიალა თვალები, ველური თვალები გამოიჭრება...

„მგლის ბოკვერია?..“ იკითხავს ბაადური.

„მგლისაა...“ უშანგი დაადასტურებს, „ტყეში იპოვნა... ერთადა ზრდის“.

ეგებებიან ერთადაცა. თითქოს კიდევაც ეკითხებიან: სამტროდ მოსულხართ თუ სამოყვროდაო. სამოყვროდაო, უშანგი ამშვიდებს. გამოჩნდება მასპინძელიცა. ბაღიდან გამოდის, პატარა ბაღიდანა, კლდეებში რო შეჭრილა, – ჭაჭში, ჭაჭში, აქ რო ჭაჭია ყველაფერი; ხოლო ის ბაღიცა, პატარა ბაღი, ვენახიცაა, ყვავილნარიცა, საბოსტნეცა, სანამყენეცა, საფუტკრეცა, ტბორიც მოჰბმია საკალმახეი. იქიდან გამოდის. ხელთ ფიჭიანი ჩარჩო უჭირავს. საკუჭნაოსი. სკებსა ხილავდა. თაფლიც გამოსდევს. სუნიც გამოსდევს, ხელიც თაფლით დაუმშვენებია.

„სტუმარი ღვთისაა!..“ შუბლი გაჰხსნია მასპინძელსა. ციკანი უკან დაიხევს. ბოკვერიც დაიხევს უკანა.

„ეს პატიოსანი კაცი ჩამიბარებია“. კარებიდანვე მიმართავს უშანგი, „ორსამ დღეში ამოვხედავ“. მანქანას მიექცევა.

„არ ავიძრახათ?!.“ უკვირს მასპინძელსა.

„თქვენ იცით!.. მეც ჰო ამოვბრუნდები!..“ უკან დაიხევს მანქანაი, ვერსად რო ვერ შემობრუნდება.

ფიჭა გაკაწრულა. წვეთავს. ბოკვერი ციკანს მისჩერებია: ალოკეო. ჯერ შენაო, სთავაზობს ციკანი. მერე ერთად დაეწოდებიან. ხალხი!.. ამოსცდება ბაადურსა. აი ხალხი!..

# სტალინის ჰოროსკოპი

„სტალინის ჰოროსკოპის“ სახელით სტალინზე დაწერილი ესეი დაიბეჭდა რომანში „ჩაკლული სული“. ცალკეც შეიტანა ეს ესეი გ.რობაქიძემ კრებულში „დემონი და მითოსი“ („Damon und Mythos“). მაგრამ კრებულს აქვს სათაური – „Stalin als ahrimanische Macht“ („სტალინი როგორც ჰარიმანული ძალა“).



„ლენინმა განსაკუთრებული სახელი უწოდა სტალინს – „ლეგენდარული ქართველი“. ლეგენდარული ჭარბად იყო სტალინში, ოღონდ ქართული – მეჩხრად. საქართველოში სტალინის ხასიათის თავისებურებას მისი წარმომავლობით ხსნიდნენ: მამამისი ოსი იყო. აქ შესაძლოა, სხვა ფენომენთან გვქონდეს საქმე. ყოველი ხალხი თავის წიაღში უცხოსაც შობს, თვით მისსავე წინააღმდეგ მიმართულსაც კი. ეს ბიოლოგიური საიდუმლოება უნდა იყოს. იქნებ აუცილებელია, უცხოს შობის უნარი გვქონდეს, რათა სხვა ჯიშისას სძლიო. სტალინი მხოლოდ იმდენად იყო ქართველი, რამდენადაც საპირისპირო პოლუსი იყო ქართველობისა.

პრეისტორიული ხვლიკის გაქვავებული თავი – ასე დაახასიათა იგი ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა, რომელმაც, მგონი, არც კი იცოდა, როგორ ზუსტად მოარტყა მიზანს. ვიწრო, სუსტად განვითარებული შუბლი – პირდაპირ მისწრება საქმის კაცისთვის. განსაკუთრებით თუკი ზურგის ტვინი აქვს ულევად. მაგრამ სტალინის ხერხემალი მოაზროვნესავით მაგარიც იყო ამასთანავე – მას რეპტილიის მგრძნობელობა ჰქონდა. ბავშვობაში ყვავილი მოეხადა და ამ სნეულების ძლივს შესამჩნევი კვალი კიდევ უფრო ამკვეთრებდა პრეისტორიულობას თავისას; ასევე ჭორფლი, რომელიც მისი სახის ფერს ციცარს ამსგავსებდა. ულვაშებში ირონია, დაცინვა ჩამალულიყო, თითქოს სურდა ეთქვა: მე ვხდები, რის დაფარვაც გინდა. ამ მდუმარე განცხადებას მაღლა აწეული მარცხენა წარბი აძლიერებდა – საოცარია: ლენინთან მარჯვენა წარბი იყო. მოწკურული, პატარა, გაუმჭირვალი თვალები ჩასაფრებულის დაჟინებით იმზირებოდნენ. მთელს მის არსებაში უბედურების მომტანის ცივი სისხლი იგრძნობოდა, რომელიც მზაკვრობით ყველას აჯობებს. მისი მზერის წინაშე ყოველი ნება უკან იხევდა.

სტალინი ნაბიჯებს კატასავით ნელა, რბილად ადგამდა, თითქოს სურდა რაღაცას დამალვოდა ან ვინმეს შეუმჩნევლად თავს დასხმოდა. იდუმალი ჯადო, რომელსაც შეუძლია ადამიანი უჩინარი გახადოს, ზღაპარი როდია; ტიბეტში იგი რეალობაა. ტიბეტელი იოგი, რომელსაც არ სურს შეამჩნიონ, უჩინარდება: ნებისყოფის საშინელი დაძაბვის წყალობით ის თავის ნაჭუჭში ძვრება და ამით ამცირებს ხილვად ელემენტებს.

სტალინიც ასე იყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა რევოლუციონერობისათვის ოხრანკა დასდევდა. მთვარეულივით დაეხეტებოდა ქუჩებში, ყოველ კუთხე-კუნჭულს აყურადებდა. თუ თვალს მოჰკრავდნენ, შიში მთვარეულს კი არ იპყრობდა, არამედ შემხვედრს, რომელსაც ეგონა, ადამიანს კი არა, აჩრდილს ვხედავო. პიროვნება კი არა, უმალ ნიღაბი იყო. მხოლოდ არალეგალური ცხოვრების გამო როდი ატარებდა სტალინი ამდენ ფსევდონიმს. სტენდალის მსგავსად, ფსევდონიმები მისთვისაც ნამდვილი სახელები იყო. სახელით იხელთებ პიროვნებას, ასე ფიქრობდნენ ძველი ეგვიპტელები. სტალინი გამუდმებით იცვლიდა სახელებს, ამიტომ მუდამ მოუხელთებელი და გამოუცნობი რჩებოდა. ხოლო თუ დააპატიმრებდნენ, მარჯვედ უსხლტებოდა შემპყრობთ. მან ბევრი ციხე მოიარა, ბათუმში, ტფილისში, ბაქოში, ცენტრალურ რუსეთში და ციმბირში – ხშირად გარბოდა ციხეებიდან. რამდენჯერმე გადაასახლეს – ისევ და ისევ გარბოდა და სულ სხვა ადგილას ამოყვინთავდა ხოლმე ახალი სახელით, ახალი ნიღბით; შესამჩნევ კვალს არსად ტოვებდა. სადღაც უეცრად თავს ამოყოფდა, უსახელო პილიგრიმი, როგორც გოლემი, რომელიც ებრაული თქმულების მიხედვით, ოცდაათ წელიწადში ერთხელ ეწვევა ხოლმე სამყაროს: მასთან შეხვედრა გაკრთობს – გონს მოხვალ, ის კი უკვე აღარ ჩანს.

სტალინი გველივით იცვლიდა კანს და ამით ხელშეუხებლად ინახავდა შინაგან არსებას. მაგრამ თავდაცვის სხვა ხერხიც ჰქონდა: სინამდვილის გაბიაბრუება. ერთხელ ბაქოს ციხეში პოლიტიკური პატიმრები აიძულეს როზგებმომარჯვებული ჯარისკაცების მწკრივებს შორის გაევლოთ. სტალინმაც გაიარა – მაგრამ როგორ? ხელში ბროშურა ეჭირა – უთუოდ მარქსისტული – კითხულობდა და ისე მიაბიჯებდა, თითქოს მას არაფერი ეხებოდა. დამსჯელების აბუჩად აგდებით საკუთარი პიროვნება მორალური შეურაცხყოფისაგან იხსნა. აქ უკვე ნაპოვნი ჰქონდა თავისი ნამდვილი სტიქია.

ვინ იყო ეს ანონიმი? მამამისი მეწაღე იყო, ლოთი, ბოღმიანი და სასტიკი. დედამისი – მკერავი, წყნარი, მორჩილი და გულმოწყალე ქალი. როცა დათვრებოდა, მამა სცემდა დედას. სცემდა ერთადერთ პატარა ვაჟსაც. მათ ქოხში მეფობდა სილატაკე, ცოფიანის დორბლი და ცრემლი. იმის გაფიქრებაზეც კი, რომ საცაა მამა დაბრუნდება, ბიჭს ტანში სზარავდა. თვით სამყაროს შექმნაშიც კი მხოლოდ სიბილწეს ხედავდა, მამა კი ურჩხულად ეჩვენებოდა. ოჯახური კავშირის ასეთი რღვევა ბავშვს გულს უმძიმებდა. აღმოსავლეთმა იცის, რა არის მამა – კოსმიურად გამანაყოფიერებელი თესლი. თუ ბაყაყის ჩანასახოვან უჯრედს შუაზე გაჭრით, ორი ბაყაყი წარმოიშობა. ორი ნაწილიდან თითოეული გადაიქცევა არა ნახევარ, არამედ ნახევარი ზომის მთლიან ბაყაყად. ბიოლოგია აქ შეუდარებლად ადასტურებს მამობის აღმოსავლურ ინსტინქტს. ერთი ჩანასახოვანი უჯრედიდან ორი იბადება, მაგრამ რა მოსდის თავდაპირველს, შექმნისათვის განსაზღვრულს? ის არ განხორციელებულა. ფიზიკურად ის აღარ არსებობს – მაგრამ მეტაფიზიკურად სიცოცხლეს აგრძელებს ორ პატარა ბაყაყში. თითოეული მათგანი თავის თავში ატარებს მას, დაუბადებელს. აქ ცოცხლობს გვაროვნული მახსოვრობა მამისა. სადაც ეს მახსოვრობა მოკვდება, იქ სიცოცხლე ჩავარდება საფრთხეში. სტალინის სახლში ეს მახსოვრობა დაირღვა: ვაჟმა დაწყევლა მამა, თესლი. გამწარებულმა თვით შექმნა შეიძულა. მისთვის აღარ არსებობდა სიყვარული, აღარც სიხარული. მამის მიმართ სამუდამოდ ჩაბუდებულმა სიძულვილმა სიცოცხლე მოუწამლა.

დაუკრეს. თამაზს ძალა მოემატა, ქართულზე გადავიდა. ახლა მეტი დამაჯერებლობა შეიძინა მისმა სიტყვამ. არ სურდა საქართველოს გასაბჭოებას შეხებოდა; ეს რომ შესამჩნევი არ გამხდარიყო, ევროპელი



მოლოტოვი, ვოროშილოვი და სტალინი 1939 წ.

სტუმრების მისალმება სასწრაფოდ კაპიტალისტურ, დაძაბუნებულ სამყაროზე თავდასხმისათვის გამოიყენა. სიტყვამ უცნაურად გაიტაცა. ევროპაში პიროვნება თუმცა ყველაზე მეტად ვითარდება, მაინც პიროვნული გარსი ადამიანისათვის შინაგან საპატიმროდ იქცევაო, ამტკიცებდა. მსოფლიოს გადარჩენისათვის ეს დამპალი კულტურა უნდა დაემხოსო (უნდოდა სიტყვა „კოსმიური“ ეხმარა, მაგრამ შინაგანმა ძალამ შეაჩერა). მაინც როგორ? რა თქმა უნდა, ოქტომბრის რევოლუციის გზით, იელვა მისსა და მისი მსმენელების გახურებულ ტვინებში. მაგრამ სიტყვა „ოქტომბრის“ წარმოთქმას თავი აარიდა, სამაგიეროდ უფრო მეტად გამოყო „რევოლუცია“ (ალბათ დასაფარავად თუ?). ისე შორს წავიდა, მსოფლიოს განახლებისათვის „სისხლის გამოშვებაც“ კი საჭიროდ ჩათვალა. ექსტაზი თავისით იზრდებოდა, მის დაუხმარებლად. უცხო ტალღები ასკდებოდნენ, ათრობდნენ; ამ ტალღების მოვარდნაში უფსკრულის სიახლოვე იგრძნო. ათასი თვალი, ათასი ტვინი, უამრავი ნერვი – ურჩხულის საავდრო სუნთქვად შეგუბებული – მას უმზერდა, ეხებოდა, მართავდა. ხარბად შეისრუტა ეს ცხელი სუნთქვა, ძალა შეემატა, გაბრუვდა, თითქოს ფრთები გამოესხა. ურჩხული-მაყურებელი დოღის ცხენივით იყო, მხედრის ძალას გრძნობდა, ბატონის ყოველ მოძრაობას, ყოველ რხევას წინასწარ ხვდებოდა. ახლა ერთი სხეული, ერთი ნება იყო ორივე. ვნებით დამთვრალი თამაზი მედიდურად უახლოვდებოდა უფსკრულს. საზღვრები წაშლილიყო...

თამაზი ორატორი არ იყო, მაგრამ ამ წუთს მის ძლიერ სიტყვას ჰქონდა ცეცხლი. დამთავრებისთანავე გიჟურმა ტაშმა იქუხა. ადამიანები თითქოს ლოჟებიდან გადმოცვენას ლამობდნენ. მთელი დარბაზი ერთი არაადამიანური თვალი იყო ახლა, ერთი მძვინვარე ტვინი, ერთი გავარვარებული ნერვი. თამაზს ტანში ქარიშხალმა დაუარა. შიგანი აერია. ერთბაშად დაღლილობა და სიცარიელე იგრძნო.

მთელი საღამოს მანძილზე ამ გამოსვლაზე ლაპარაკობდნენ. არ იყო არავინ, მისგან აღტაცებული და გაბრუებული არ ყოფილიყოს. მაგრამ ერთი წვრილმანი ყველას გამორჩა – სიტყვა „ოქტომბრისა“ და საქართველოს გასაბჭოების გამოტოვება. ბერზინი იყო ერთადერთი, რომელიც ამას უეჭველად შეამჩნევდა, ქართული რომ სცოდნოდა. მაგრამ რაღაც მაინც არ გამოეპარა, რაღაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი. შესვენებაზე დერეფნებში საუბრობდნენ. ერთი ინჟინერი ნატას ლოჟის კართან იდგა, ემუსაიფებოდა. ბერზინი იცნობდა ინჟინერს, მიუახლოვდა მათ.

„რა აღტაცებით ლაპარაკობდა!“ თქვა ინჟინერმა.

„მეჩვენება, რომ მის აღტაცებაში რამდენიმე წვეთი ისტერიაც იყო გაზავებული“, უპასუხა ბერზინმა ბასრად. შემდეგ ნატას შეხედა, რომელიც ამ სიტყვებზე გაწითლდა. სასწრაფოდ დაუმატა: „თუმცა, შესაძლოა, ვცდები – მე ხომ ქართული არ ვიცი“.

თარგმნა
ალეკო კარტოზიამ

გაგრძელება იქნება



სტალინი და პოსკრებიშევი. 1939 წ.

## ჩვენ რაღა გვეთქმის?

გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF- ის ანგარიშით, მსოფლიოში მიკროელემენტებისა და ვიტამინების ნაკლებობის გამო გარდაცვლილ ბავშვთა სამ მეოთხედს მიკროელემენტებისა და ვიტამინების მხოლოდ დაბალი ან საშუალო დონის ნაკლებობა აქვს, რასაც შესამჩნევი კლინიკური გამოვლინებები არ ახლავს. დაავადების მიზეზი, ამავე ფონდის განმარტებით, არის ოჯახების შემოსავლის უთანასწორო განაწილება და სოციალური დაცვის პროგრამების შემცირება.

აშშ-ში ჩატარებულ გამოკვლევაზე დაყრდნობით შეფასებულია, რომ 13 მილიონ ბავშვზე მეტი ვერ ახერხებს მათთვის აუცილებელი საკვების მიღებას, დიდ ბრიტანეთში კი ღარიბი ოჯახების წევრების ჯანმრთელობა საფრთხეშია არასრულფასოვანი კვების გამო. (გეა)

## ჭამეთ ვაშლი

გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF- ის მონაცემებით, რკინის ნაკლებობით გამოწვეულმა ანემიამ ახალშობილობისა და ბავშვობის პერიოდში შესაძლოა შეანელოს ბავშვის ფსიქომოტორული განვითარება და გამოიწვიოს მისი გონებრივი ჩამორჩენილობა. მსოფლიოში 2 მილიარდი ადამიანი, ძირითადად ქალები და ბავშვები, განიცდიან რკინის ნაკლებობას. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის შეფასებით, განვითარებად ქვეყნებში მცხოვრები 4 წლამდე ასაკის ბავშვების 51% ანემიითაა დაავადებული.

არსებული შეფასებით, მიკროელემენტებისა და ვიტამინების ნაკლებობა ზოგიერთ ქვეყანაში საერთო ეროვნული პროდუქტის 5%-ის ეკვივალენტურ დანაკარგებს იწვევს, რომელიც ვლინდება დაკარგულ სიცოცხლეთა რაოდენობაში, ინვალიდობის დონესა და დაქვეითებულ შრომისუნარიანობაში. (გეა)

## ჩიყვმა პანდემიის სახე მიიღო

საქართველოში ენდემური ჩიყვით დაავადებამ პანდემიის სახე მიიღო. 1996 წელს ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით, 3000 საშუალო სკოლაში 6-დან 12 წლამდე ბავშვების გამოკვლევამ ცხადყო, რომ ქართველი ბავშვების 64%-ს ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგია აღენიშნება, ხოლო ენდემური ჩიყვის დონე რეგიონებში 54%-სა და 78%-ს შორის მერყეობს. იოდის დეფიციტმა 1996 წელს საქართველოში დაბადებულ 50 ათასი ახალშობილის ინტელექტის საზომი – IQ ინდექსი 500 ათასი დანაყოფით დააქვეითა. (გეა)

## UNICEF- ი ენდემურ ჩიყვთან ბრძოლაში გვეხმარება

საქართველოში მოხმარებული მარილი, რომელიც ძირითადად სომხეთიდან და უკრაინიდან შემოდის, საერთოდ არ არის იოდიზირებული. 1996 წლის ივლისსა და ოქტომბერში ამ პრობლემის გადასაჭრელად ქვეყნის პრეზიდენტმა გამოსცა ორი ბრძანებულება.

ამასთან დაკავშირებით შეიქმნა იოდის დეფიციტით გამოწვეული დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო საბჭო. პრეზიდენტის ამ ბრძანებულების მხარდასაჭერად UNICEF- მა 1997 წელს ქვეყანაში შემოიტანა იოდის შემცველობის განმსაზღვრელი 2 ლაბორატორია, რომლებიც დამონტაჟდა თბილისსა და ქუთაისში. ამას გარდა UNICEF-მა შემოიტანა მარილში იოდის შემცველობის გასაზომი 4 ლაბორატორია, რომლებიც საქართველოს სანიტარულ დეპარტამენტს გადაეცა. უახლოეს მომავალში UNICEF- ი აპირებს ჩაატაროს საქართველოში ადამიანის ორგანიზმში მიკროელემენტებისა და ვიტამინების შემცველობის გამოკვლევა და წარმართოს მძლავრი კამპანია ზემოთაღნიშნული დაავადების სალიკვიდაციოდ. (გეა)

# თემურ მურღულია: შეფარვით სურდათ ჩვენი გაცურება, მაგრამ...

**ქალაქ** მოსკოვში დსთ-ის ქვეყნების ძალოვან სტრუქტურათა ოფიციალური დელეგაციების საკოორდინაციო საბჭოს სხდომა ჩატარდა, რომელზეც ესწრებოდნენ დსთ-ის ქვეყნების გენერალური პროკურორები, შს მინისტრები, უშიშროების და სპეც. სამსახურების, სასაზღვრო დაცვის ჯარების საბჭოს ხელმძღვანელები, საბაჟო სამსახური და საგადასახადო პოლიციის საბჭოების წარმომადგენლები.

სხდომაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმოადგენდა მინისტრის მოადგილე თემურ მურღულია. სწორედ იქ განხილული საკითხების თაობაზე ვთხოვეთ ინტერვიუ ბატონ თემურს



*– თქვენ მიწვეული ბრძანდებოდით მოსკოვში დსთ ქვეყნების ძალოვანი სტრუქტურების შეხვედრაზე, კონკრეტულად რა საკითხების გარშემო იყო მსჯელობა?*

– დსთ-ის ქვეყნების აღმასრულებელი სამდივნო ატარებდა დსთ-ის ქვეყნების საბჭოების საკოორდინაციო სხდომას, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე კორიტენია ხელმძღვანელობდა, იგი გამოვიდა მოხსენებით სახელმწიფოთაშორისი პროგრამის შესრულებასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებდა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების და სხვა სახის მძიმე დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით ურთიერთთანამშრომლობას. ეს პროგრამა 2000 წლამდე იმოქმედებს, სხდომაში მონაწილეობას ღებულობდა რუსეთის პრემიერ-მინისტრი ჩერნომირდინი, რომელიც ისეთივე მოხსენებით გამოვიდა, როგორც ყველა მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებმაც ერთხმად დააფიქსირეს თავიანთი დადებითი შეხედულება ამ საკოორდინაციო სხდომის მუშაობასთან დაკავშირებით.

თვითონ სახელმწიფოთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ცნება მოიცავს სხვადასხვა სახის მძიმე დანაშაულებს, რომლებსაც გააჩნიათ საერთაშორისო დანაშაულებრივი კავშირების ტერორიზმის და სხვა. მათ შორის საერთაშორისო და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლას, მოგეხსენებათ, საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა, ბოლო დროს ძალიან გაიზარდა უცხო ქვეყნებიდან ტრანზიტული ტვირთის შემოტანა, მოსალოდნელია ურთიერთობების გაღრმავება აზიის, მათ შორის შუა აზიის ქვეყნებთან, რომლებიც დსთ-ის შემადგენლობაში შედიან, იქიდან კი სავარაუდოა მომავალში ნარკოტიკების ტრანზიტი. ამასთან დაკავშირებით თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს ნებისმიერ მხარეს.

აღსანიშნავია ასევე იარაღის კონტრაბანდასთან დაკავშირებული დანაშაულებები. ტრანსპორტის გატაცება და სხვა ქვეყნებში მისი რეალიზაციისთვის გადაყვანა. დსთ-ს ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევით ბრძოლა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ყალბი ფულის როგორც შემოტანაზე, ასევე სხვა სახელმწიფოში გატანა-რეალიზაციის წინააღმდეგ. მნიშვნელოვანია ურთიერთანამშრომლობა დანაშაულის ჩადენისათვის ძებნაში მყოფი პირების დასაკავებლად, რომლებიც მეზობელ სახელმწიფოებში აფარებენ თავს. მაგალითად 100-ზე მეტი დამნაშავე, რომლებიც იძებნებოდნენ, მათი დახმარებით დაკავებულნი არიან და გადმოცემულნი საქართველოს ხელისუფლებას. მაგრამ მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებისა საკოორდინაციო სხდომაზე განხილვის დროს მაინც პირველ ადგილზე იდგა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

*– რას გვეტყოდით იქ წარმოდგენილ ახალ ურთიერთთანამშრომლობის კონცეფციაზე?*

– ახალ კონცეფციაში იყო წარმოდგენილი უამრავი საკითხი, მათი ძირითადი ნაწილი ჩვენთვის მისაღები იყო, თუმცა იყო წინადადებები, რომლებსაც ჩვენ კატეგორიულად არ დავეთანხმეთ. კონკრეტულად, მასში იყო პუნქტი, რომელიც ჩვენს კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა, რაც იმაში ვლინდებოდა, რომ სხვადასხვა ქვეყნების საზღვრისპირა ქალაქების, რაიონების სამართალდამცავ ორგანოებს დამოუკიდებლად, ცენტრალური ხელისუფლების ნებართვის გარეშე ეთანამშრომლათ ერთმანეთთან სამართლებრივ საკითხებზე. ჩვენ ამის კატეგორიული წინააღმდეგები წავედით, ვინაიდან, ჩვენი ქვეყნის კანონის შესაბამისად, ნებისმიერი საკითხი ორ ქვეყანას შორის უნდა გადაწყდეს ცენტრის ჩარევით.

მეორე საკითხი ეხებოდა დამნაშავე პირის ცხელ კვალზე დაკავებას. ვთქვათ მოქალაქე დანაშაულს ჩაიდენდა და მოასწრებდა სხვა ქვეყანაში საზღვარზე გადასვლას, სამართალდამცავ ორგანოებს უფლება ჰქონდათ ცხელ კვალზე დადევნებოდნენ მას, ჩაეტარებინათ უცხო სახელმწიფოში სათანადო ოპერაციები დამნაშავის დასაკავებლად და სხვა ოპერატიულ სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები. მხოლოდ ამის შემდეგ ეცნობებინათ ადგილობრივი ხელისუფლებისთვის და ეს მაშინ, როცა საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, თვით სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებსაც კი იარაღის ტარების უფლება არა აქვთ. და ასევე არა აქვთ უფლება ოპერსამძებრო თუ სხვა სახის ღონისძიებების დამოუკიდებლად ჩატარებისა. დამეთანხმებით, ამ პუნქტის ძალაში შესვლა უამრავ გაუგებრობას და ერთგვარ უკონტროლობასაც გამოიწვევდა, ამიტომ ჩვენ ამ პუნქტს არ დავეთანხმეთ. უნდა აღინიშნოს უკრაინის მხარდაჭერაც ამ საკითხის განხილვის დროს.

მესამე რაც ურთიერთთანამშრომლობის კონცეფციაში იყო წარმოდგენილი და რომელსაც ჩვენ აცილება მივეცით, ქ.მოსკოვში „ინტერპოლის" სუბრეგიონალური ბიუროს შექმნის საკითხი იყო. ეს წინადადება რუსეთის მხარემ არაერთხელ დააყენა ჯერ კიდევ მინსკში და ბაქოში შეხვედრების დროს. ჩვენ გვაქვს ცენტრალური ეროვნული ინტერპოლის ბიურო, რომელიც ინტერპოლის გენერალურ სამდივნოს ქსელში არის ჩართული და აქტიურად თანამშრომლობს მასთან. კულიკოვის განმეორებითი წინადადება რუსეთში ინტერპოლის სუბრეგიონალური ბიუროს შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც ახლა მოსკოვში შეხვედრის დროს წამოაყენა, შეფარვით ითვალისწინებდა ჩვენი ეროვნული ინტერპოლის დაქვემდებარებას რუსეთის ინტერპოლზე, და ეს მაშინ, როცა ცენტრალური ეროვნული ბიურო ერთ-ერთ საუკეთესოა თვით ევროპის მასშტაბითაც კი. ამის შექმნის წინააღმდეგი იყო თვით „ინტერპოლის" გენერალური მდივანი რაიმონდ კენდალი. ასე რომ, შეფარვით სურდათ ჩვენი გაცურება, მაგრამ...

*– თუ დაისვა გიორგაძის გადმოცემის საკითხი, ფაქტია, რომ ისინი თქვენს თხოვნას არ ითვალისწინებენ, ოფიციალურად რა მიზეზს ასახელებენ?*

– ბატონმა რეზო ყიფიანმა, რომელიც სხდომაზე გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი იყო, შეახსენა რუსეთის სამართალდამცავ სტრუქტურებს იგორ გიორგაძის საქართველოსთვის გადმოცემის საკითხი და იმათ რეპლიკაზე, რომ გიორგაძე ძებნილია და მისი ადგილსამყოფელის დადგენა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა, ყიფიანმა უპასუხა, რომ როგორ შეიძლება ძებნილმა მასობრივი ინფორმაციების საშუალებებს ინტერვიუები აძლიოს ისე, რომ სპეცსამსახურისთვის მისი ადგილსამყოფელი დაუდგენელი დარჩეს.

*– თქვენ კურირებთ „ინტერპოლის" ცენტრალურ ბიუროს საქართველოში, რამდენად ეფექტურად მოქმედებს ეს უწყება?*

– ქართული ინტერპოლი უნდა ითქვას, რომ პროფესიონალური მუშაკებით, საუკეთესო მოწყობილობებით და აპარატურითაა აღჭურვილი. ამ მხრივ ჩვენ მსოფლიო დონის ორგანიზაციასთან გვაქვს საქმე. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ სამართლებრივ საკითხებზე, როგორც „ინტერპოლის" გენერალურ სამდივნოსთან, ასევე სხვა „ინტერპოლში" შემავალი ქვეყნების ცენტრალურ ეროვნულ ბიუროებთან.

„ინტერპოლის" გენერალური სამდივნოს მიერ დადგენილია მოთხოვნების შესრულების ვადები, რომლის თანახმადაც შემსრულებელი ქვეყანა ვალდებულია დადგენილ ვადებში მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია მომთხოვნ მხარეს, რასაც ჩვენი „ინტერპოლის" ეროვნული ბიურო ასრულებს.

„ინტერპოლის" მეშვეობით თანამშრომლობის შედეგად დაკავებულია არა ერთი დანაშაულისათვის მიმალვაში მყოფი პირი, რომლებიც შემდგომ გადმოუცია ჩვენს მხარეს.

„ინტერპოლის" მეშვეობით ვთანამშრომლობთ ისეთ საკითხებში, როგორიცაა ავტოტრანსპორტის არაკანონიერი ბიზნესი, საერთაშორისო ნარკობიზნესი, „კონტრაბანდა" და სხვა.

მომავალშიც ჩვენი თანამშრომლობა „ინტერპოლის" ქსელში შემავალ ქვეყნებთან კიდევ უფრო გააქტიურდება და ეფექტური გახდება.

ესაუბრა ხათუნა მაღრაძე

## ენგურჰესის თანამშრომლები გაიფიცნენ და ჰიდროელექტროსადგურის გამორთვით იმუქრებიან

გეა-ს კორესპონდენტს პარლამენტის წევრმა, თორნიკე ფიფიამ აცნობა, რომ იმ ორგანიზაციების მუშებისთვის, რომლებიც ენგურჰესზე ახლახანს ჩატარებულ სამუშაოებში მონაწილეობდნენ და ჰიდროელექტროსადგურის მომსახურე პერსონალისათვის ხელფასების გასაცემად უნდა გამოყოფილიყო 3 მილიონი ლარი, მაგრამ ეს თანხა შესაბამის ორგანოებს არ გადაურიცხავთ.

უფულობით შეწუხებულმა მუშებმა და ჰიდროელექტროსადგურის თანამშრომლებმა გუშინ გამაფრთხილებელი გაფიცვა გამოაცხადეს და მოითხოვენ, რომ მათთვის განკუთვნილი თანხები დროულად იქნას გადახდილი. ეს ის ხალხია, რომელსაც 1989 წლიდან არსად უმუშავია და მინიმალურ შემოსავალსაც კი იყო მოკლებული.

ფიფიას ინფორმაციით, რამდენიმე ხნის წინ მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიას ჩარევის შემდეგ გახდა 200 ათასი ლარის ჩარიცხვა შესაძლებელი, მაგრამ ეს მიზერული თანხა, რა თქმა უნდა, საკმარისი არ აღმოჩნდა.

როგორც გეა-სთვის გახდა ცნობილი, შექმნილია საგაფიცვო კომიტეტი, რომელმაც დახმარებისათვის მიმართა მაჟორიტარ დეპუტატს წალენჯიხის რაიონიდან, თორნიკე ფიფიას. დეპუტატის თქმით, საპროტესტო აქციის მონაწილენი აცხადებენ, რომ თუ უახლოეს დღეებში მათთვის განკუთვნილი თანხები არ გაიცემა, ისინი შეწყვეტენ მუშაობას, რაც ენგურის ჰიდროელექტროსადგურის გათიშვას გამოიწვევს და რესპუბლიკის დიდი ნაწილი ელექტროენერგიის გარეშე დარჩება, ეს კი, თორნიკე ფიფიას აზრით, საქართველოში დესტაბილიზაციას გამოიწვევს, რაც მისი თქმით, ყოვლად დაუშვებელია. პარლამენტარი მიმართავს შესაბამის ორგანოებს, დროულად დაკმაყოფილდეს საგაფიცვო კომიტეტის მოთხოვნები, რათა თავიდან იქნას აცილებული დესტაბილიზაცია და აქედან გამომდინარე სავალალო შედეგები. (გეა)

## „დინამო" პოლიტიზირებულ ფეხბურთს ითამაშებს

სახელგანთქმული საფეხბურთო კლუბის კიევის „დინამოს" მთელი შემადგენლობა – მწვრთნელები, საკლუბო სპორტსკოლის აღსაზრდელთა მშობლები, კლუბის ხელმძღვანელის ვალერი ლობანოვსკის ჩათვლით ახალ თამაშებში ჩაერთო, ამჟამად პოლიტიკურში, – იუწყება საინფორმაციო სააგენტო „ელიზი-ნიუსი"-ს კიეველი კორესპონდენტი. გაერთიანებული „დინამო" ერთსულოვნად დარაზმული შევიდა უკრაინის გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

საზოგადოება არაერთგვაროვნად შეხვდა საყვარელი გუნდის „გაპარტიულებას", თუ ზოგიერთი გულშემატკივრისათვის ფეხბურთელთა პარტბილეთის ფერს ნაკლები მნიშვნელობა აქვს, სხვანი მიიჩნევენ, რომ პოლიტიკური პარტიის „ხელმძღვანელი და წარმმართავი" როლი სპორტულ შეჯიბრებებში არ უნდა თამაშობდეს. (ელიზ-ნიუსი)

## თამაზ ნადარეიშვილი: ამერიკის კონგრესი მზად არის 12 მილიონი დოლარი გამოყოს აფხაზეთში დევნილთა დაბრუნებისთვის

აფხაზეთში დევნილების დაბრუნება უპრეცედენტო შემთხვევა იქნება, რადგან მასში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, – თქვა პრაიმ-ნიუსთან საუბარში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა.

16 დეკემბერს გამართულ პრეს-კონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ ქლინთონი მზად არის, „საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფთან ერთად", აქტიური მონაწილეობა მიიღოს აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში.

ნადარეიშვილის თქმით, ამერიკის კონგრესის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, იგი მზადაა აფხაზეთში დევნილთა დაბრუნების პროგრამისთვის დაახლოებით 12 მილიონამდე დოლარის გამოსაყოფად, რომლის ათვისება დაბრუნების პროცესში დაიწყება.

ამერიკის მაგალითს მიბაძა გერმანიამ, რომელმაც ასევე განაცხადა დევნილთა დაბრუნებისთვის 5 მილიონი მარკის გამოყოფის შესახებ, – თქვა პრაიმ-ნიუსთან საუბარში თამაზ ნადარეიშვილმა (პრაიმ-ნიუსი)

## საზღვარგარეთ

### რუსეთში წუნდებული დოლარები აღმოაჩინეს

რუსეთში წუნდებული ასდოლარიანი ბანკნოტები აღმოაჩინეს. ბანკნოტის წინა მხარეს ქვედა მარჯვენა კუთხეში ნომინალის აღმნიშვნელი ციფრული გამოსახულება მეტალოგრაფიული მეთოდით შესრულებულია შავი საღებავით, ნაცვლად ოპტიკურად ცვლადი ფერების საღებავისა, რომელიც ბანკნოტის შებრუნების დროს ფერს იცვლის.

გარდა ამისა სახელმწიფო ხაზინის ბეჭედი და სერიული ნომერი წინა მხარის ნაცვლად უკანა მხარესაა დაბეჭდილი. რუსეთის ბანკებმა მიიღეს განკარგულება, რომლის მიხედვითაც წუნდებული ასდოლარიანი ბანკნოტები იმ უცხოურ ბანკებს უნდა დაუბრუნონ, რომლებშიც რუსულ ბანკებს საკორესპონდენტო ანგარიშები აქვთ გახსნილი. (გეა)

### თვალი თვალის წილ...

ორი დღის წინ ისრაელის არმიამ ოთხი პალესტინელი ტერორისტის სახლები გაანადგურა. მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, პალესტინის ავტონომიის ტერიტორიაზე მდებარე სახლები იმ ტერორისტი – კამიკაძეების ოჯახებს ეკუთვნოდა, რომლებმაც მიმდინარე წლის ზაფხულში იერუსალიმში აფეთქებები მოაწყეს. მაშინ ტერაქტების შედეგად 21 ადამიანი დაიღუპა.

ებრაელების უმრავლესობა ტერორისტების სახლების აფეთქებას განიხილავს, როგორც ტერორისტების მიერ განხორციელებული ვანდალური აქტებისადმი მინიმალურ საპასუხო რეაქციას. პალესტინის მხარის განცხადებით კი, სახლები მხოლოდ და მხოლოდ ტერორისტების ოჯახის წევრებს ეკუთვნის და ამიტომ მათი განადგურების შედეგად უდანაშაულო ადამიანები დაზარალდნენ. ისრაელმა თავისი მოქმედებების გასამართლებლად განაცხადა, რომ ასეთი წესები ჯერ კიდევ დიდმა ბრიტანეთმა შემოიღო, როცა პალესტინა ბრიტანეთის კოლონია იყო. თუმცა ოფიციალურმა ლონდონმა რამდენჯერმე აღნიშნა, რომ 1945 წელს შემოღებული წესები მხოლოდ დროებითი იყო და დაკავშირებული იყო მეორე მსოფლიო ომის დასრულებასთან, ამასთანავე ეს კანონები ჯერ კიდევ ისრაელის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებამდე გაუქმდა. (გეა)

### გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ტერორიზმის შესახებ ახალი კონვენცია მიიღო

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ახალი საერთაშორისო კონვენცია მიიღო, რომელიც ტერორისტული საქმიანობის აღკვეთისკენაა მიმართული.

კონვენციის მონაწილე ქვეყნები ვალდებულნი იქნებიან ტერორისტები სასამართლოს გადასცენ, ან სხვა სახელმწიფოს გადასცენ მოთხოვნის შემთხვევაში.

კონვენცია ტერორისტ ამფეთქებელს განსაზღვრავს, როგორც პიროვნებას, რომელსაც უკანონოდ და წინასწარი განზრახვით გადააქვს ასაფეთქებელი მოწყობილობა, ამონტაჟებს და მოქმედებაში მოჰყავს ბომბი ან მისი მსგავსი მოწყობილობა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სახელმწიფო და სამთავრობო ორგანიზაციებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და საცხოვრებელ მასივებში, პიროვნებას, რომლის ტერორისტული მოქმედების შედეგად დაიღუპნენ ადამიანები ან სერიოზული მატერიალური ზარალი მიადგა შენობებს. სხვადასხვა სახელმწიფოებს საშუალება ექნებათ კონვენციას შეუერთდნენ 1998 წლის 12 იანვრიდან 1999 წლის 31 დეკემბრამდე. ამჟამად მოქმედებს საერთაშორისო კონვენცია, რომელიც თვითმფრინავების გატაცებისა და მძევლების აყვანის წინააღმდეგაა მიმართული. (გეა)


## განცხადებები

### ბინები

სასწრაფოდ, იაფად, საირმის ქუჩაზე ბელეტაჟზე, კარგი პროექტის ერთოთახიანი ბინა სრული ლოჯიით, საშუალო რემონტით, ტელეფონით, სარდაფით, ავტოფარეხით. ფასი შეთანხმებით ტელ. 52-68-51; 95-77-05; 99-75-01

ვყიდი სასწრაფოდ რუსთავში ერთოთახიან ბინას 1000$ ტელ. 63-63-25 ჰანრი ან ხატია

ვიყიდი მეტროს ახლოს ერთოთახიან ბინას 3000$-ის ფარგლებში, დავიგირავებ 2000$ ფარგლებში. ტელ. 63-63-25 ჰანრი, ხატია

იყიდება ქუთათელაძის ქ-ზე პირველ სართულზე 2-ოთახიანი ბინა ფართი 55 კვმ ფასი 60000$ ტელ. 23-14-68

იყიდება რუსთაველზე 10 ოთახიანი სარემონტო ბინა საკუთარი პატარა ეზოთი, ავტოსადგომით, გამოდგება ოფისისათვისაც. ფასი 300000$ ტელ. 23-14-68

იყიდება კეთილმოწყობილი საკუთარი სახლი ბელეტაჟზე ორთაჭალაში, საცხოვრებელი ფართი 80 კვმ აქვს იზოლირებული საკუთარი ეზო, ავტოფარეხი, დიდი კაპიტალური სარდაფი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 72-26-31

იყიდება ვაკეში მუხაძის ქ-ზე 3-სართულიან აგურის სახლში მე-3 სართულზე 7 ოთახიანი ბინა ფასი 240000$ ტელ. 23-14-68

იყიდება 1 ოთახიანი ბინა აიენით 8 სართულიანის მე-5 სართულზე, ჭერი 2,80. ფასი 6500$ ტელ. 32-69-01 მის. ნუცუბიძის 211 მე-4 კორპ. I სად. ბინა 13.

### ქირავდება

ქირავდება ქავთარაძის ქ. №4 მრავალსართულიანი სახლის მე-4 სართულზე სამოთახიანი ბინის ერთი ოთახი ფასი 50$ ტელ. 30-01-46

ქირავდება ერთოთახიანი იზოლირებული, კეთილმოწყობილი ბინა ვერაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ. 52-03-37

ქირავდება 2 ოთახიანი იზოლირებული ბინა ლოჯით. საბურთალოს ქ. №39-ში. ფასი 250$ ტელ. 93-27-49

### სხვადასხვა

იყიდება მანქანის მაგნიტოფონები Alfa, Beta, Grundig, მანქანის მუსიკალური ცენტრი Sound2000 (მაგნიტოფონი, CD- პლეიერი გამაძლიერებელი)

ტელ: 99-69-81

იყიდება კეთილმოწყობილი მაღაზია ინვენტარით, ფართი 200 კვმ აქვს საწყობი, ფართი 200 კვმ საბარგო ლიფტით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 72-26-31

იყიდება ამერიკული პარფიუმერია სამკურნალო თვისებებით. აჩერებს თმის ცვენას, ამოჰყავს თმა, კურნავს სახეზე გამონაყარებს, შლის ნაოჭებს. იყიდება ჩინური მცენარეულობით დამზადებული მკვებავი პროდუქტი, კურნავს თითქმის ყველა დაავადებას. ტელ. 93-14-87 (18-დან 24 სთ-მდე) ზურაბი

იყიდება ამერიკული ჯიბის მობილური ტელეფონი „MOTOROLA" ულტრალაითი, რუმინული სამზარეულო, ტელევიზორი „იუნოსტი-406" დეციმეტრული, მუშაობს 12 და 220 ვოლტზე. კონდიციონერი „BK-1500", ფეხით საკერავი მანქანა „პოდოლსკი-2M"; წყლის გამაცხელებელი ატმორი, 5 კილოვატიანი, ისრაელის გამოშვება, ტრანზისტორი „ოკეანე", მუშაობს ელემენტებზე და 220 ვოლტზე. ტელ. 72-26-31

მოვემსახურები ავტომანქანა BMW-თი უცხოელებს, ფირმებს ან კერძო პირს. ტელ. 62-57-73 ირაკლი



## XI კლასელებო, აბიტურიენტებო, სტუდენტებო!




გამოვიდა ნოდარ გრიგალაშვილის „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები". წიგნი დამტკიცებულია საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში დამხმარე სახელმძღვანელოდ.

ძვირფასო მკითხველო, ამ წიგნს რეკლამა არ სჭირდება. გადავიდეთ პირდაპირ საქმეზე. ვინც სწავლობს XI კლასში, აპირებს ჩააბაროს უმაღლესში და საერთოდ, ვისაც უყვარს ლიტერატურა, სასწრაფოდ მიაკითხეთ:

მაღაზია „საუნჯეს"

საფირმო მაღაზია „მერანს" (რუსთაველის №42).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსში წიგნების ჯიხურს.

გაზეთ „საქართველოს" რედაქციის წინ მდებარე საგაზეთო ჯიხურს (პუშკინის ქ.№5).

ლიტერატურის მასწავლებლებს, რომელთაც სურვილი ექნებათ მოწაფეებისათვის წიგნის რამდენიმე ეგზემპლარზე გააკეთონ შეკვეთა, ვთხოვთ, დაგვიკავშირდნენ ტელეფონზე: 93-18-41 ან 93-20-36

**იჩქარეთ, წიგნის ტირაჟი შეზღუდულია**


## ჰონორარი თუ ქრთამი?

*ერთდროულად ოთხი მსხვილი სახელმწიფო ჩინოვნიკი მიაბრძანა პრეზიდენტმა თავისი თბილი ადგილებიდან: პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე კაზაკოვი, საკუთრების სახელმწიფო კომიტეტის უფროსი კოხი, სახელმწიფო საკუთრების მინისტრი ბოიკო და გადახდისუნარიანობის არძონის საქმეების ფედერალური სამმართველოს უფროსი მოსტოვოი. ოფიციალური მიზეზი — საარაკოდ გაზრდილი ჰონორარები რუსეთში პრივატიზაციის ისტორიის წიგნისათვის.*

იღებდნენ თუ არა ლენინი და სტალინი თავისი წიგნებისათვის ჰონორარს, მეცნიერებისათვის ბურუსით მოცული საკითხია. ისტორიული მუზეუმის მეცნიერმა მუშაკმა ლუდმილა სადოვნიკოვამ შეგვატყობინა მხოლოდ, რომ რევოლუციამდელ ანკეტებში, გრაფაში „საქმიანობა", ლენინი მიუთითებდა: „ლიტერატორი", ან „ჟურნალისტი". ემიგრაციაში ძირითადად ჰონორარზე ცხოვრობდა, მაგრამ თანხა უცნობია. საბჭოთა პერიოდში ჩვენი ბელადები ლიტერატურულ ასპარეზზე უსასყიდლოდ შრომობდნენ.

1917 წლის დეკემბერში ლენინმა გამოსცა დეკრეტი „მოსამსახურეთა და ჩინოვნიკების ხელფასის შესახებ". მთავრობის წევრებისათვის დააწესა ხელფასის ზღვარი არა უმეტეს 500 მანეთისა. ყველა სხვა შემოსავალი, მათ შორის ლიტერატურულიც, მათთვის აკრძალული იყო. როდესაც 1918 წელს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველმა ბონჩ-ბრუევიჩმა თავისი ინიციატივით ლენინის ხელფასი 800 მანეთამდე გაზარდა, ლენინმა თავის თანამებრძოლს სასტიკი საყვედური „მიაკერა" და ისევ ძველ ხელფასზე დარჩა.

სხვათა შორის, ლენინის ნაშრომთა კრებულის (55 ტომი) უკანასკნელი გამოცემა მოხდა 1960-1970 წლების პერიოდში „პოლიტიზდატის" მიერ, ხოლო – სტალინისა (13 ტომი) 1946-1955 წლების პერიოდში.

სხვათა შორის ალფრედ კოხმა წიგნისათვის რუსეთში პრივატიზაციის შესახებ შვეიცარიული გამომცემლობის „Servina Traiding SA"-სგან მიიღო 97 ათას 772 დოლარი.

ბორის ნემცოვმა თავისი მხატვრული პუბლიკაციისათვის „პროვინციალის" გამომცემლობა „რუსისაგან" მიიღო 546 მილიონი მანეთი.

ივანე რიბკინმა წიგნისათვის „სახელმწიფო სათათბირო: მეხუთე ცდა" მიიღო 70 მილიონი მანეთი.

ედუარდ შევარდნაძემ 11 ნაბეჭდი თაბახის გვერდიანი მასალისათვის ჟურნალ „ტაიმისაგან" მიიღო 250 ათასი დოლარი.

მიხეილ გორბაჩოვმა მისი წიგნის „ცხოვრება და რეფორმები" გამოცემის უფლებისათვის, რომელიც იყიდა გამომცემლობა „ბერტელსმანმა" მიიღო 3,5 მილიონი დოლარი.

ეგორ ლიგაჩოვმა აშშ-ში გამოცემული წიგნისათვის „კრემლის მმართველებს შორის" მიიღო 15 ათასი დოლარი.

„ექსპრეს გაზეტა" №46

# ხვალ გაიმართება ჟურნალ „ცისკრის“ იუბილე



„ცისკარი“ იყო პირველი ქართული ჟურნალი, რომელიც კოლონიადქცეულ საქართველოში გამოსცა გიორგი ერისთავმა, რომელიც აღადგინა ივანე კერესელიძემ, რომელშიც ფეხი აიდგეს XIX საუკუნის სამოციანელებმა.

„ცისკარი“ იყო პირველი ქართული ჟურნალი, რომელშიც ხელახლა მოხდა ზეობა ქართული სიტყვის, ქართული სულისა.

მერმე ეს ჟურნალი დაიხურა, კომუნისტურ ბნელეთში ცისკარს როგორღა აღადგენდნენ.

50-იანი წლების ბოლოს, როცა ჩაცხრა რეპრესიები, როცა ქართული კულტურა ოდნავ განთავისუფლდა მკაცრი მარწუხებისაგან, ისევ აღდგა „ცისკარი“.

ამ ჟურნალში დაიბეჭდა ჩვენი მწერლობის საუკეთესო ნიმუშები. ეს ჟურნალი ახალგაზრდობის იყო და არის, მაგრამ იგი ფაქტობრივად მთელი ქართული მწერლობის მსახურად იქცა. ჟურნალი დღესაც ცოცხლობს, დღესაც აგრძელებს საუკეთესო ტრადიციებს. ახლახან გამოვიდა ჟურნალის საიუბილეო მე-9 ნომერი, რომელსაც ახლავს მთავარი რედაქტორის ზაურ კალანდიას წინასიტყვაობა. ეს წინასიტყვა ზარის რეკვასავით ისმის. „ცისკარს“ შველა სჭირდება, „ცისკარი“ უნდა არსებობდეს.

საიუბილეო მე-9 ნომერი უნიკალურია. უნიკალური იმით, რომ მასში წარმოდგენილია, ცხადია, ფრაგმენტულად, ყველა ავტორი, ვინც კი ამ ჟურნალში დასტამბულა გიორგი ერისთავიდან დღემდე, ანუ ფაქტობრივად მთელი ქართული მწერლობა.

ვულოცავთ „ცისკარს“, მის შემოქმედებით კოლექტივს იუბილეს.

„საქართველო“

# მცირე განმარტება უპასუხოდ დარჩენილი კითხვები

ბატონ იაკობ ახუაშვილთან დაუსრულებელ კამათს არ ვაპირებ, რამდენადაც 25-26 ოქტომბრის გაზეთ „საქართველოში“ მოთავსებულ ჩვენს რეპლიკაში „შეურაცხყოფა და ცილისწამებაც!“ დასაბუთებული იყო იმ სამი ბრალდების აბსურდულობა, რომელიც მან გამოთქვა გაზეთ „საქართველოს“ 18-19 ოქტომბრის ნომერში - „ენციკლოპედიური პიროვნება“. ახლა, როცა ამავე გაზეთის 1 დეკემბრის ნომერში ჩვენს რეპლიკას რეპლიკითვე გამოეხმაურა, კახეთში გავრცელებული ერთი ანეკდოტი გამახსენა - „რა ატამი, რი ატამი“ (უფრო მკვახე ანეკდოტის დასახელებისაგან თავს ვიკავებ). ახლა პატივცემულ იაკობ მასწავლებელს ვეკითხები: - მოსწავლემ მას დიდგორის ომის შესახებ უნდა უამბოს, მოსწავლე კი ხრესილის ომზე საუბრობს და თანაც შეცდომებით. რა ჰქვია ამას?!

საქმეში ჩაუხედავ მკითხველს შთაბეჭდილება რომ არ შეექმნას, თითქოს ბატონ იაკობ ახუაშვილს ჩვენთვის პასუხი გაეცეს, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ მან გვერდი აუარა ჩვენს რეპლიკაში დასმულ საკითხებს და საუბრობს იმაზე, რაზედაც არავინ შედავებია; თუმცა აქაც საკმაო უზუსტობები დაუშვა, რაზედაც ყურადღებას აღარ ვამახვილებთ. რაც შეეხება მისი რეპლიკის ბოლოს დასახელებულ მოწმეს, მტკიცების არგუმენტად არ გამოდგება, რამდენადაც სიმპოზიუმის მსვლელობის მთელი ჩანაწერი არსებობს და ბატონ იაკობ ახუაშვილის სასარგებლოდ მოწმე არაფერს ამბობს. ერთი კი მინდა შევახსენო - ბატონო იაკობ, ნუ ეჭიდებით ხავსს, რადგან მას ფესვები არ გააჩნია; იქნებ გაზეთ „კავკასიონის“ 2 ოქტომბრის ნომერი გადაიკითხოთ (სიმპოზიუმამდე ერთი კვირით ადრე რომ დაიბეჭდა) და ნათელი გახდება პირველივე წინადადებაში რას აღნიშნავს „მხცოვანი მეცნიერი, ყველა სამეცნიერო ხარისხის პიროვნება“. მაინც არის საკამათო?

კობა ხარაძე

# ბაზარში ეკოლოგიური თვალსაზრისით ბევრი პრობლემაა

ფოთის მერიის განკარგულების თანახმად, მალფუჭებადი პროდუქტების გაყიდვა უნდა აიკრძალოს დახლმაცივრების გარეშე. ფოთის ბაზრის დირექტორის თეიმურაზ შარაშენიძის თქმით, აღნიშნული განკარგულება არსებული პრობლემების გამო სრულყოფილად ვერ სრულდება. მიზეზი ამისა მდგომარეობს იმაში, რომ აქ დაახლოებით 170 მომსახური პერსონალია და ფიზიკურად შეუძლებელია ამდენი დახლმაცივრების შეძენა. შეიქმნა ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ მებრძოლი სადგური - ლაბორატორია, რომელიც აკონტროლებს ბაზარში შემოტანილი ხორცის პროდუქტს. სანიტარული მდგომარეობა ბაზარში დაცულია, კერძოდ, ტერიტორიის დასუფთავება ხდება დღეში ორჯერ, ასე რომ, სისუფთავის თვალსაზრისით მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. რაც შეეხება ბაზრის ადგილმდებარეობას, იგი მოთავსებულია ქალაქის ცენტრალურ ნაწილში და სწორედ ამის გამო მოსახლეობის მცირე ნაწილი უკმაყოფილო იყო, რადგან ეს იწვევდა ქალაქის დანაგვიანებას, მაგრამ უმრავლესობის მოთხოვნით ბაზარი ჯერჯერობით პირვანდელ ადგილზე რჩება.

ნანა ძველაია

# ანდაზვორდი



შვეულად: 1. „...პირში უძრახე, მტერს ზურგს უკანაო“; 2. „შენი მჭადი სხვის ნამცხვარს...“; 3. „რჯულს გამოიცვლი,-ვერაო“; 4. „...ლაპარაკს ნაწყენობამდე მივყავართ“; 5. „კალმით... ნაჯახით ვერ ამოჩეხავო“; 7. „...მთხლეზე მოკლესო“; 9. „...რაც ესიზმრებოდა, ის აგონდებოდაო“; 18. „...ხალხის სიბრძნეა, რომელიც საუკუნეებს უძლებს“; 21. „...-ძალასა ჰქვია, დამიშვი - უღონობასო“; 22. „...უმადლოდე, ვინც შეცდომაზე მიგითითაო“; 25. „მთა... ბარი ვინ გაასწორაო“; 26. „...მზეზე უფრო ნათელიაო“; 27. „...კედელზე უმაგრესია“; 28. „...ისე არაფერი არ ამძიმებს, როგორც ცარიელი თავი“; 30. „...მეფობენ და არა მეფენიო“; 34. „ვისაც სხვისი ჯიბის... ექნება, მშიერი დარჩება“; 35. „...საქმეს შეუდგები, მისი თავი და ბოლო მოიფიქრე“; 36. „მუნჯის ენა... იცის“.

თარაზულად: 6. „...მოუგვიანდესო“; 8. „...მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩებაო“; 10. „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო ...მისი“; 11. „...ჯანმრთელობა ჩვენს ხელშია“; 12. „ჯერ გადახტი და ჰოპ...დაიძახეო“; 3. „...მუშაობდა, კაცი იკვებნიდაო“; 14. „...ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“; 15. „...მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო“; 16. „...კურდღლის მდევარი, ვერც ერთს ვერ დაიჭერსო“; 17. „დაკარგულ ცულს... ოქროსი ჰქონდაო“; 19. „... ისე ნუ მოჭრი, რომ შენ დაგეცეს“; 20. „...სულმა ცხვარმა ხეს შებღავლა და ძირიანად გახმოო“; 22. „...როგორც მოხვალ სვინაო, ...წახვალ შინაო“; 23. „მადა ჭამაში...“; 24. „...უღელი გადააგდო და კურდღელი მოკლაო“; 27. „...სიტყვას ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია და თანაც არაფერი ღირს; 29. „როგორც...ისე გილირდეს“; 31. „...კაცის დამღუპველიცაა და ამშენებელიც“; 32. „...ალხანა, ის ჩალხანა“; 33. „...პიროვნებას საიდუმლოს შენახვა მაშინ შეუძლია, თუ ორი მათგანი მკვდარია“; 37. „ჭედოთ რკინა..., სანამ ცხელია“; 38. „...გაზვიადებაზე იტყვიან: ბუზისგან სპილოს ქმნისო“; 39. „ლომი... და ვირმა დაწიხლაო“; 40. „...დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო“; 41. „ქალს ყველაზე... ამხნევებს იმ ადამიანის სიმამაცე, რომელიც უყვარსო“.

მანანა ღვალაძე

ცნობილი პოეტის ჯანსუღ კორძაიას წინამდებარე კრებულში ერთადაა თავმოყრილი ავტორის წინა წიგნებში („შენ უკვე შენ ხარ“ - 1988 წ., „ეს საუკუნეც“ - 1988 წ., „ჯერ მხოლოდ ერთხელ“ - 1989 წ., „კვლავ ვიბადები“ - 1990 წ. „იმ დღეების ქრონიკა“ - 1992 წ., „შემოდგომა-93“ - 1994 წ.) დაბეჭდილი ლექსები. კრებული მოიცავს პოეტის მიერ უკანასკნელ პერიოდში შექმნილ ნაწარმოებებსაც, რომლებიც მხოლოდ სალიტერატურო პერიოდიკაში იყო გამოქვეყნებული. მკითხველს საშუალება ეძლევა სრული სახით გაეცნოს თანამედროვე ქართული ფილოსოფიური ლირიკის თვალსაჩინო წარმომადგენლის პოეტურ შემოქმედებას.




* * *

სამყარო არის, მაგრამ, რომ არის,
მხოლოდ ახლაა ნამდვილად ცხადი,
– შენ მოდიოდი
და მზისფერ თმებით
განგების ახალ სასწაულს ჰგავდი.
და შედგა წამი,
წამიც და გულიც,
გულიც და ქუჩაც,
ქუჩაც და მარტიც,
...სამყარო არის, მაგრამ, რომ არის,
მხოლოდ ახლაა ბოლომდე ცხადი.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია თანაუგრძნობს გუბაზ მეგრელიძეს დედის

***ნინო შვანგირაძის***

გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444